# საერთო გაზეთი

№34 (584) • 28 ოქტომბერი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი


## არა ნაცმოძრაობას! არა მკვლელების პარტიას!





გაზეთის ამ ნომერში გამოქვეყნებულია არასრული სია იმ ადამიანებისა, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ ფაშისტურ-კრიმინალურმა რეჟიმმა შეიწირა.
შენ, ვინც ამ მკვლელებისათვის ხმის მიცემას აპირებ, გახსოვდეს: „ნაცმოძრაობის“ მსხვერპლთა ტანჯული სულების ცოდვა საუკუნო წყევლად გაგყვება შენ და შენს შთამომავლობას.
ვინც მკვლელებს უჭერს მხარს, ისიც მკვლელია!



## 31 ოქტომბერი – დიდი ლუსტრაციის დღე!

### 21 ოქტომბერს ზუგდიდში სპექტაკლი „ბანკის ძარცვა“ მიშამ და მისმა „სასტავმა“ დადგა

„ნაციონალებს“ იმედი ჰქონდათ, რომ ბანკში სისხლი დაიღვრებოდა, რასაც ზუგდიდში მობილიზებული „ნაცების“ მხარდამჭერების მხრიდან დიდი არეულობა უნდა მოჰყოლოდა

ნიკა გვარამია ბადრი ესებუა



აბა, ნახეთ, გვარამიას თვალების ჭრილი ხომ უფრო ჰგავს ტერორისტის თვალების ჭრილს, ვიდრე ესებუასი?



### ღია დივერსია ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ

მივმართავთ ხელისუფლებას: დროზე დაიჭირეთ ეს ორი არამზადა, რომლებიც ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ანტისახელმწიფოებრივ, დივერსიულ საქმიანობას ეწევიან!

### ელდარ გოგოლაძე – კაცი ბნელეთიდან...



СДЕЛАНО В СССР



### ვინ გაალო საგიჟეთის კარები?

### ცეზარ ჩოჩელი ოსი სეპარატისტების ბიზნესპარტნიორი და მათი საიდუმლო მოკავშირეა






# 31 ოქტომბერს გავიგებთ, რამდენი გონებაჩლუნგი და რამდენი მოღალატე ჰყავს საქართველოს

## ვინც ხმას აძლევს კაცს, რომელმაც 20 პროცენტით შემცირებული და დაპატარავებული საქართველო დაგვიბრუნა უკან, ქვეყნის მოღალატეა!



**ვახტანგ ხარჩილავა:**

31 ოქტომბრის მეორე დღეს, 1 ნოემბერს, გაირკვევა, ეღირება თუ არა ცხოვრება იმ ქვეყანაში, რომელსაც საქართველოს ჰქვია.

სხვამ თავისი საქმისა თვითონ იცის, მაგრამ პირადად მე, აქედანვე შემიძლია განვაცხადო: თუ ღმერთმა ამ ქვეყანას ზურგი შეაქცია და მოხდა ისე, რომ ხელისუფლებაში კვლავ ნაციონალები მობრუნდნენ თავიანთ განაყოფ-განშტოებებიანად, მე ასეთ ქვეყანაში ცხოვრება ნამდვილად არ მინდა.

უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, მინდა-არმინდაზე კი არ არის დამოკიდებული ის, რაც ახლა ვთქვი — უბრალოდ, ასეთ ქვეყანაში ცხოვრებას ვერ შევძლებ, ეს ჩემს ძალ-ღონეს აღემატება, ამასთან შეგუებას ვერ მოვახერხებ.

ბევჯერ მითქვამს და კიდევ ბევრჯერ გავიმეორებ: როცა მკვლელების, მოძალადეების, გამყიდველების, მოღალატეების, ყაჩაღების, ადამიანთა მწამებლების პარტიას აძლევ ხმას, თვითონაც პოტენციური მკვლელი ხარ, თვითონაც მოძალადე, გამყიდველი და ყაჩაღი ხარ და როცა ასეთი ადამიანების რაოდენობა მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს, ასეთ ქვეყანაში და ასეთ საზოგადოებაში ცხოვრება შეურაცხმყოფელია, მიუღებელია, დამამცირებელია.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საზოგადოება, რომელსაც პარანოიისა და ფსიქოპატიის ნიშნები ეტყობა, სახიფათო და საშიში საზოგადოებაა.

ასეთ საზოგადოებას არაფრის შექმნა და აშენება არ შეუძლია, ის მხოლოდ ანგრევს და ანადგურებს, თუმცა ჰგონია, რომ აშენებს.

ეს მძიმე ფსიქიკური მდგომარეობის, მისი ჰალუცინაციური წარმოსახვების გამოხატულებაა, მისი სულიერი აშლილობის კლინიკური სურათია.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებებს დააკვირდით: ადამიანი, რომელმაც პრეზიდენტობის დასაწყისში ჩაბარებული ქვეყნიდან პრეზიდენტობის ბოლოს 20 პროცენტით დაპატარავებული და შემცირებული საქართველო დააბრუნა უკან, თვალებში გვიყურებს და გვიმტკიცებს, რომ ქვეყანა ააშენა და დაამშვენა.

ფსიქიატრების დასკვნით, სააკაშვილი ნორმალური არ არის და არ არის გამორიცხული, მას მართლაც სჯეროდეს, რომ აღმაშენებელია, მაგრამ რას წარმოადგენს საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მას აღტაცებულ-აფოფინებული უსმენს და არც ეკითხება: თქვენ რაღაც-რაღაცები რომ ააშენეთ, კი ვიცით, მაგრამ საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი რომ დაკარგეთ, ამაზე რა პასუხს გაგვცემთო.

არა აქვს მნიშვნელობა, სააკაშვილი, ქვეყნის მთავარსარდალი, რუსებმა წამოაგეს პროვოკაციაზე, თუ მან რუსებთან ერთად თვითონ დაგეგმა ეს პროვოკაცია, არც იმას აქვს მნიშვნელობა, რაღაც ძალებმა წააქეზეს და შეცდომაში შეიყვანეს თუ თვითონ დაუშვა შეცდომა, არსებობს უმძიმესი ფაქტი — ქვეყნის ტერიტორიების 20 პროცენტის დაკარგვა, უზარმაზარი მატერიალური ზიანი და, რაც მთავარია, დაღუპული ადამიანები — ჯარისკაცები, მშვიდობიანი მოქალაქეები, ლტოლვილების ახალი ნაკადი — ყოველივე ამაზე, ცხადია, პასუხისმგებელია ქვეყნის პრეზიდენტი და მთავარსარდალი, ამ შემთხვევაში, ბატონი სააკაშვილი.



სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყნებსა თუ სხვადასხვა სიტუაციებში ამ პასუხისმგებლობას წაგებული ომების მთავარსარდლები თუ ქვეყნის მეთაურები სხვადასხვანაირად გამოხატავდნენ — ზოგი თავს იკლავდა, ზოგი საერო ცხოვრებას განერიდებოდა და დარჩენილ სიცოცხლეს ლოცვასა და პატიების ხვეწნა-აჯაში ასრულებდა, სააკაშვილმა კი სულ სხვა გზა აირჩია — ხუთ დღეში სამარცხვინოდ წაგებული ომი გამარჯვებად გამოაცხადა და თბილისის ცენტრში ტაშ-ფანდურა გამართა, შემდეგ კი საკუთარი მარცხი სხვებისთვის რომ დაებრალებინა, ოფიცრებს და ჯარისკაცებს დაერია — ზოგი ჯაშუშად და აგენტად გამოაცხადა, ზოგს დეზერტირობა დააბრალა, ზოგს მოღალატის იარლიყი მიაწება, თვითონ კი კიდევ ხუთი წელი იპრეზიდენტა და ბიძინა ივანიშვილი რომ არ გამოჩენილიყო პოლიტიკურ ასპარეზზე, ალბათ, დღესაც ქართული სახელმწიფოს მეთაური იქნებოდა, თუმცა იარსებებდა თუ არა ქართული სახელმწიფო, ეს კიდევ საკითხავია.

დღეს წინ არის წამოწეული დავით გარეჯისა და ზოგადად, აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლთან დაკავშირებული გამაოგნებელი ღალატის ამბავი, რასაც 3500 ჰექტარი ქართული მიწის დაკარგვა მოჰყვა, მაგრამ თითქმის არავინ ახსენებს არანაკლებ გამაოგნებელ ისტორიას, თუ რა უძღოდა წინ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს და როგორ აღუდგინა სააკაშვილმა და მისმა პარლამენტმა ტერიტორიული მთლიანობა ძველ ადმინისტრაციულ საზღვრებში აფხაზ და ოს სეპარატისტებს, როგორ დაარქვა კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი, როგორ აღადგინა გაუქმებული სამხრეთ ოსეთის ოლქი, როგორ „შეტენა“ შიგ ახალგორი, ყველაფერი ეს ოფიციალურად, დოკუმენტურად დაადასტურებინა საქართველოს პარლამენტს, რამაც მოგვიანებით რუსებს საშუალება მისცა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ელიარებინა ეს ორი სეპარატისტული რეგიონი.

შეიძლება, არაინფორმირებულობის გამო რაღაც შეგეშალოს, შეიძლება, ზედმეტად ენდო ვიღაცას და არჩევანში შეცდომა დაუშვა, მაგრამ, როცა ყველაფერი იცი, როცა ყველაფერი ცნობილია, როცა სახეზეა უამრავი შემზარავი დანაშაული და ხმას მაინც ამ დანაშაულებების ჩამდენებს აძლევ, ამას რა გამართლება ან რა ახსნა შეიძლება ჰქონდეს?

და როცა ამას აკეთებს არა ერთი და ორი, არამედ 400 000–500 000 ადამიანი, არ შეიძლება ამ ციფრმა არ შეგაკრთოს და არ დაგაფიქროს იმ ქვეყნის ბედზე და მის მომავალზე, სადაც ყოველი ოთხი კაციდან ერთი მაინც ადამიანად არ ვარგა.

სააკაშვილმა არ მარტო უდიდესი მატერიალური ზიანი მიაყენა ქვეყანას, არამედ სულიერადაც სცადა მისი გატეხვა და დაბეჩავება. სწორედ ამით აიხსნება პატიმრებით გადატენილი ციხეები, სასამართლოს წნეხქვეშ გატარებული 300 000 პრობაციონერი, ადამიანების დემონსტრაციული, საჩვენებელი დახვრეტები ქუჩებში, პატიმრების წამება, ზღვარგადასული სისასტიკე და ხაზგასმული სადიზმი.

აი, ამის ჩამდენ კაცს რომ ხმას აძლევს, ის მასზე უარესი არის და როცა ქვეყანას 500 000-მდე სააკაშვილზე უარესი ჰყავს, იმ ქვეყანას რა უნდა ეშველოს?!

სააკაშვილს რომ ჰკითხო, ოკუპანტ რუსეთს და პუტინს ებრძვის, ვითომ.

პუტინს რა უნდა გაეკეთებინა იმაზე უარესი, რაც სააკაშვილმა გაუკეთა საქართველოს?

სააკაშვილი, სინამდვილეში, პუტინის კაცია, მისი ხელქვეითია, მისი ქვეშევრდომია, პუტინის სადამსჯელო-საეგზეკუციო რაზმის ხელმძღვანელია საქართველოში, რომელმაც პირნათლად შეასრულა რუსეთიდან წამოსული ყველა დავალება.

შეთანხმება: მებრძოლე სიტყვით, მაგრამ საქმით ჩემი საქმე აკეთე, კვლავ ძალაშია!

სააკაშვილი დღესაც პუტინის საქმეს აკეთებს და ამის მიხვედრა მხოლოდ გონებაჩლუნგს არ შეუძლია.

მაგრამ რა ვქნათ და როგორ მოვიქცეთ, თუ ქვეყანაში მინიმუმ 500 000 გონებაჩლუნგი მაინც არის, რომელსაც სჯერა, რომ სააკაშვილი პუტინის აგენტი კი არა საქართველოს თავდადებული გმირია?!

●

ერთ კაცს ვიცნობდი, რომელსაც ყმაწვილკაცობაში თანაკლასელი შემოაკვდა, შემოაკვდა კი არა მოკლა დანით, ლაჩრულად, არაკაცურად.

ციხიდან რომ გამოვიდა, მწერლობა დაიწყო. არ იყო უნიჭო კაცი, მაგრამ ერთი უბედურება ჭირდა — რომ დალევდა, სულ დანისკენ გაურბოდა ხელი და ხან ვის გამოეკიდებოდა მოსაკლავად და ხან — ვის.

ერთხელ, მორიგი ასეთი ინციდენტის შემდეგ, ვკითხეთ: — რა გჭირს, რა გემართება, რას აკეთებო?

— მეც არ ვიცი, რა მჭირს... სიმთვრალეში თავს ვერ ვერევი, სულ იმ მომენტში დაბრუნება მინდა, კაცი რომ შემომაკვდა... ისეთი ნეტარება ვიგრძენი მაშინ, სისხლი რომ დავინახე, კვლავ იმ შეგრძნების დაბრუნება მინდა და ისეთი ძლიერია ეს სურვილი, თავს ვერ ვერევიო, — გვიპასუხა.

იმ დღეს პირობა დადო, რომ არ დალევდა და არც დაულევია, თუმცა მალევე გარდაიცვალა — ჩემი აზრით, დარდმა მოკლა, რომ ასეთი იყო და თავს ვერაფერი მოუხერხა.

სააკაშვილს რომ ვუყურებ, სულ ის უბედურ დღეზე გაჩენილი მახსენდება.

ისინი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, თუმცა მათ შორის ის განსხვავებაა, რომ იმ ჩემს ნაცნობს, ხანდახან მაინც, სინდისის ქენჯნა სტანჯავდა, ამას ამ სააკაშვილს, სინდისი არ სტანჯავს, რადგან სინდისი საერთოდ არ გააჩნია.

სააკაშვილს სისხლი წყურია!

მართალია, ამის დამალვას ძალიან ცდილობს, მაგრამ ვერ ახერხებს.

სააკაშვილს სისხლი წყურია და სურს, რაც შეიძლება მალე უნდა დაბრუნდეს იმ ნეტარ დროში, როცა ძალაუფლებით აღჭურვილს განუსაზღვრელი საშუალებები ჰქონდა, სრული თავისუფლება მიეცა მანიაკალური ინსტინქტებისთვის და პასუხი არაფერზე არ ეგო.

სააკაშვილისთვის ძალაუფლებაა ის ღვინო, რომელიც ჭკუას და განსჯის უნარს აკარგინებს და მის ქცევებს უმართავს და უკონტროლოს ხდის.

მისთვის ძალაუფლების მიცემა დანაშაულის ტოლფასია, რადგან მის ხელში ძალაუფლება, ეს არის დამცავმოხსნილი ყუმბარა, რომელიც არავინ იცის, როდის აფეთქდება და რა უბედურებას დაატრიალებს.

●

როგორც წინა წერილებში ვწერდით, 31 ოქტომბერი დიდი ლუსტრაციის დღეა.

31 ოქტომბერი ყველაფერს დაახარისხებს და თავის ადგილს მიუჩენს.

31 ოქტომბერს გაირკვევა, რამდენი ჭკვიანი და გონიერი მოქალაქე ჰყავს ამ ქვეყანას და რამდენი გიჟი და სულელი, რამდენი ავანტურისტი, პროვოკატორი და ყველაფერზე წამსვლელი მოქალაქე ჰყავს.

31 ოქტომბრის შემდეგ გაცხადდება, რა ქვეყანაა ის ქვეყანა, რომელშიც ვცხოვრობთ და რას წარმოადგენს ის საზოგადოება, რომელმაც ამ ქვეყნის ბედ-იღბალი უნდა წარმართოს.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# 21 ოქტომბერს ზუგდიდში სპექტაკლი „ბანკის ძარცვა“ მიშამ და მისმა „სასტავმა“ დადგა

## „ნაციონალებს“ იმედი ჰქონდათ, რომ ბანკში სისხლი დაიღვრებოდა, რასაც ზუგდიდში მობილიზებული „ნაცების“ მხარდამჭერების მხრიდან დიდი არეულობა უნდა მოჰყოლოდა



ამას წინებზე მიხა სააკაშვილი ჩაჯვი გვარამიას ქვემორე ტელეუბორნიაში გამოვიდა და ჩაიღიღინა: თქვენთვინ ბევრი სიურპრიზი მაქ, ქართველებოო.

ძაან ბევრი სიურპრიზიო!

თან მაგიდაზე ბოცოცა თითებიც აათამაშა, დოლზე რომ უკრავენ ხოლმე, იმნაირად. ამით მიგვანიშნა, ფეხებზე მკიდიხართო.

ეტყობა, არ იცის, ჩვენ რაზე გვკიდია!

თუმცა, მე მგონი, იცის და ამიტომაც არის გრაფიკიდან ამოვარდნილი, ეს ჩემის რიმტიტარო!

●

მიხას დაპირებიდან რამდენიმე დღეში, 21 ოქტომბერს „საქართველოს ბანკის“ ზუგდიდის ფილიალში საშუალო ასაკის მამაკაცი შეიჭრა, „ლიმონკა“ გახსნა, ხელში ავტომატი შეათამაშა, 43 ადამიანი მძევლად აიყვანა, 500 ათასი აშშ დოლარი მოითხოვა და გორგოლაჭებიან სკამზე არხეინად ჩამოჯდა.





კანონის, სამართლისა და ადათის თანახმად, სამხედრო ფორმაში გამოწყობილ მამაკაცს ეგრევე მიენიჭა ტერორისტის კვალიფიკაცია. თუმცა, მან მძევლებს თავიდანვე გამოუცხადა, მშვიდად იყავით, თქვენს „სიცოცხლეებს“ საფრთხე არ ემუქრება, ტერორისტი არ გეგონოთ, მხოლოდ მძარცველი გახლავართო. ხაჭაპური შემოვიყოლე, ვინმეს ხომ არ გშიათო? თუ დაგცხებათ, კონდიციონერს ჩავრთავ, არც მაგის პრობლემააო. უკაცრავად, გვარამია ხომ არ გყავთ ვინმეს „ფეისბუქში“ დამეგობრებულიო? აქ საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მძარცველმა არც ერთ მძევალს ტელეფონი არ ჩამოართვა, რეკეთ რამდენიც გინდათო (სხვათა შორის, 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკაში ტერორისტებმა ცათამბრჯენები რომ ჩამოანგრიეს სამგზავრო თვითმფრინავებით, არც მაშინ ჩამოართვეს მძევლებს ტელეფონები). ერთმა მამაკაცმა წამოიძახა ამაყად, მე მყავს გვარამია ფრენდებშიო. ჰოდა, თუ გყავს, მისწერე, თავის არხზე ჩაგვრთოს პირდაპირ ეთერში, ჩემი მოთხოვნები გააჟღეროსო. ამანაც, ამ ვინმე ირაკლი კვარაცხელიამ, რომელიც გავარვარებული „ნაციონალი“ ყოფილა და მიხასთანაც ბლომად სურათები აქვს გადაღებული, ჩართო და „გააჟღერა“.

მოკლედაო, თქვა მძარცველმა, ნახევარი მილიონი დოლარი დაიდოსო, მანქანა ბანკის კართან გაჩერდესო და ჩემი უსაფრთხოებაც დაცული იყოსო. წინააღმდეგ შემთხვევაშიო, ერთი მძევალიც არ გადარჩება ცოცხალიო, „ლიმონკა“ აფეთქდება, ხელში მიჭირავსო.

აი, რას ყვება იგივე ირაკლი კვარაცხელია მოგვიანებით, ანუ მას შემდეგ, რაც მძარცველს ყველა პირობა შეუსრულეს:

„მას ხელში ეჭირა ხელყუმბარა, გავაცნობიერე, რომ ამ წუთში ჩვენი ყველაზე დიდი საფრთხე იყო, რომ პოლიციას, სამართალდამცავებს დაეპირებინათ შტურმი, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ ყველანი დავიღუპებოდით. ამიტომ მნიშვნელოვანი იყო, მათ გაეგოთ, რომ ამ ადამიანს ჰქონდა ხელყუმბარა და ის იყო საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი. ამაზე იყო ჩვენი სიცოცხლე დამოკიდებული და ეს საფრთხე ნამდვილად არსებობდა. თავიდან ის იყო აგრესიული, მაგრამ შემდეგ ყველამ მოახერხა ის, რომ უფრო მეტად კომუნიკაბელური გახდა. 7 საათი ერთად ყოფნის განმავლობაში ზოგიერთი ხუმრობდა კიდეც. ცდილობდნენ, რომ ეს ადამიანი ყოფილიყო ჩვენთან ადამიანურ ურთიერთობაში, საჭიროების შემთხვევაში გაჭირვებოდა ჩვენთვის სროლა. წაიყვანა ბიჭები, ალბათ, იმიტომ, რომ გაუადვილდებოდა ბიჭების მართვა, ვიდრე ქალების. ორმა ბიჭმა თვითონ გამოთქვა სურვილი, რომ გოგოები არ წაეყვანათ. მძარცველმა მესამე თვითონ დაასახელა. სამართალდამცავ უწყებებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობდა სხვა მძევლის დახმარებით. მძევალს სთხოვდა, დაერეკა სადღაც და ხმამაღლა ჰქონდა ჩართული, „სპიკერზე“ ტელეფონი, თვითონ უსმენდა და ეუბნებოდა — რა გაეცა პასუხი. იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც თვითონაც ჩაერთო ლაპარაკში. ძირითადად დავალებული მქონდა მედიასთან დარეკვა და საჭიროების შემთხვევაში, როდესაც დამავალებდა, მათთან კონკრეტული წინადადებით გამოსვლა. ვნახე, რომ სრულიად კატასტროფული, ამორალური კამპანია წამოიწყეს გარკვეულმა ჯგუფებმა. დიახ, მე ვარ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი... დიახ, მე მიმაჩნია, რომ „ნაცინალურ მოძრაობას“ უკეთესად შეუძლია მართოს ეს ქვეყანა, და რა მოხდა მერე? ბანკში ვერ უნდა მივიდე?! ქუჩაში ვერ უნდა გამოვიდე?! გაუგონარი რაღაც ხდება, არ მესმის!“.

ხალხნო და ჯამაათნო, მე არც შერლოკ ჰოლმსი ვარ და არც მისტერ პუარო, მაგრამ ვინაიდან მთელი ცხოვრება საქმე მაქვს ტექსტებთან, აშკარად ვხვდები, რომ საქმე გვაქვს გაზეპირებულ მონოლოგთან, ანუ წინასწარ დაწერილ ტექსტთან.

კიდევ ბევრი მაგალითის მიყვანა შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია — ამ ადამიანის მონაყოლი ძალიან ჰგავს დაკითხვის ოქმიდან ამოღებულ ტექსტს.

როგორ ფიქრობთ, ასეთი რამ მიხას მმართველობის პერიოდში რომ მომხდარიყო (და არაერთხელ მოხდა კიდეც), როგორ განვითარდებოდა მოვლენები? როგორ და... „ნაცები“ ქვას ქვაზე არ დატოვებდნენ, სამხედრო ტრაილერებით შეცვივდებოდნენ შენობაში, როგორც გლდანის ეკლესიაში შეცვივდნენ! ავიაციას გამოიყენებდნენ, ზემოდან დაბომბავდნენ, იქიდან ცოცხალი ვერავინ გამოვიდოდა. მერე დასხდებოდნენ, კუბდარს ჩაცეცხლავდნენ, მიხას სადღეგრძელოს დალევდნენ და მთელ საქართველოს დააბოლებდნენ, რომ ძაან მაგარი ტერორისტული აქტი აღკვეთეს.

ვინაიდან, მთელი ცხოვრება საქმე მაქვს პოლიტიკოსებთან თუ მოპოლიტიკოსო ელემენტებთან და ვაკვირდები ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, არც ის გამომეპარებოდა, როგორ იქცეოდნენ იმ დღეს „ნაციონალები“ და მათთან გათანაბრებული პირები. გაიხსენეთ, მთელი სანაცეთი ზუგდიდში იყო მობილიზებული, ისინი ელოდებოდნენ სისხლისღვრას, ანუ შტურმსა და იქაურობის გადაბუგვას. ალბათ ნახეთ, როგორ იხეოდა ნაკერავზე გიგი უგულავა, ერთი ხანობა იმ ჭკუაზეც კი დადგა, მძარცველმა მძევლები გამოუშვას და მე ამიყვანოსო. როგორც ჩანს, მძარცველმა იფიქრა, ეს ჩემზე დიდი ყაჩაღია, 50 მილიონი აქვს მოპარულიო და არ მიიღო. ნიკანორ მელია, გრიგოლ ვაშაძე, ნუგზარ წიკლაური... ბოკერიები და შმოკერიებიც ხელებს იფშვნეტდნენ, ახლა კი დაგვიდგა საზეიმო ვითარებაო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, საღამოს სამართალდამცავებმა იმდენი გააკეთეს, რომ ყველა მძევალი გაათავისუფლეს.

ამ შემთხვევიდან ორიოდ დღეში ამუშავდა ჩაჯვთა ბრიგადა – „ლეობორისტმა“ გუგავამ განაცხადა, ამდენი ფული ვიღაცას რომ გაატანეს, ვახტანგ გომელაური უნდა გადადგესო. შემდეგ ელისპროჭო კილაძე გამოხტა, დავით ხვიბლიანს ხელი დაადო, ეს ადამიანი სამხედროა, მძარცველის თანამონაწილეა, არიქა, თავდაცვის სამინისტრო ჩამოიშალა, ფაქტობრივად აღარ არსებობს, სასწრაფოდ ირაკლი ღარიბაშვილი გადადგესო. გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტრომ ნება იბოძოს, შეკითხვები რომ დაგროვდა, პასუხები გაგვცესო. უნდა ეთქვა, გამცესო, მაგრამ ამდენზე ველარ გაქაჩა. ყელში გაეჩხირათ ჩაჯვისტებს ირაკლი ღარიბაშვილის წარმატებები ქართულ ჯარში და გარეჯის საქმეც, ვეღარ ინელებენ, ეს მოღალატეები!

ჩემი ღრმა რწმენით, სანამ ვახტანგ გომელაურისა და ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომას მოითხოვ, სულ მცირე, ჯერ სარკეში უნდა ჩაიხედო, მერე ფსიქიატრთან წახვიდე, შემდეგ კი საკუთარ თავთან თათბირი ჩაატარო. ვინ არიან, ეს ჩემისები, საიდან მოსულან და რა უკეთებიათ ინტრიგების გარდა?!



მეგობრებო, ხალხნო და ჯამაათნო, ეს ყველაფერი რომ მიხას „სასტავის“ დადგმულია, წვეთი არ გაუვა. მიზანი კი გახლავთ რამდენიმე: პირველი — გარეჯთან დაკავშირებული სკანდალის გადაფარვა (რაც ნაწილობრივ მოახერხეს); მეორე -პოლიციის ავტორიტეტის გაფარჩაკება (ჩაფიქრებული იყო სისხლისღვრა, ამ შემთხვევაში ჩაფლავდნენ); მესამე — თავიანთი ჭკუით, თავდაცვის სამინისტროს ჩამოშლა და ირაკლი ღარიბაშვილის მოშორება; მეოთხე — რაც მთავარია, სიტუაციის უკიდურესად დაძაბვა წინასაარჩევნოდ და სურათის დახატვა, თუ როგორ წალეკა ქვეყანა კრიმინალმა. ამ ეტაპზე „ნაცებმა“ ტერმინი „უნიათო მთავრობა“ გადადეს და ახალი შემოიღეს — „ჩაფლავებული მთავრობა“.

კიდევ ერთი მტკიცებულება, რომელიც „ნაცების“ დანაშაულზე მიუთითებს: ჩაჯვი გვარამიამ თავისი უბორნიის ეთერში გაუშვა აუდიო ჩანაწერი, სადაც პოლიციელი გალდავა და მძარცველ-ტერორისტი ლაპარაკობენ იმაზე, თუ რამდენი კაცი უნდა გაჰყოლოდა მძევლად. ჩანაწერში ისეთი არაფერია, ეს ეუბნება, სამი კაცი წამოვაო, ის არაკუნებს — ოთხი უნდა იყოსო. აქ მთავარი ერთი რამეა — ვინ მისცა ჩანაწერი გვარამიას? პოლიციელი არ მისცემდა, გამოვრიცხოთ. სავარაუდოდ, მისცემდა ის, ვინც ჩართულია მიხას სცენარში. დაუკვირდით, მძარცველიც და ზოგიერთი ვითომ მძევალიც აშკარად კავშირზე არიან გვარამიასთან დასაწყისიდანვე. წარაკუა გვარამია თავს იკატუნებს, ვითომ არაფერი იცის, ვითომ პირველად გაიგო, ვითომ ავად იყო და გააღვიძეს. არ დაიჯეროთ, ის ხაზზე იყო პირველივე წუთებიდან.

მალე მძარცველსაც დააკავებენ და მის თანამზრახველებსაც და „ნაცების“ მიერ დადგმული ეს სპექტაკლიც ბოლომდე გაიშიფრება.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# არჩევანის გაკეთება იმ ქვეყანაში, სადაც დაახლოებით, ცხრა ათასი პოლიტიკოსი გვყავს, არც ისე ადვილი საქმეა



*გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე:*

**— ბატონო მამუკა, არჩევნებამდე რამდენიმე დღე რჩება. როგორ მიმდინარეობს წინასაარჩევნო კამპანია?**

— საკმაოდ რთულად და მძიმედ. ვერ ვიტყვი, რომ საარჩევნო კამპანია როგორც ცივილიზებულ სამყაროშია მიღებული, ისე მიმდინარეობს. ჩემი აზრით, ქართული საზოგადოება იმდენად პოლიტიზირებულია, რომ პრაქტიკულად, ამას სამოქალაქო დაპირისპირების ტოლფასი ეფექტი აქვს. ვერც იმას ვიტყვი, რომ სხვა ქვეყნებში უკეთესი მდგომარეობაა. ეს სიმართლე არ იქნება. ნახეთ, რა ხდება ამერიკაში ტრამპსა და ბაიდენს შორის, იქაც, იგივე სიტუაციაა. აშშ-სგან განსხვავებით საქართველო პატარა ქვეყანაა და აქ, კარგად იგრძნობა შემდეგი: ადამიანები ერთმანეთს სიამოვნებით გაიმეტებენ, ოღონდ, თავიანთ პოლიტიკურ მიზნებს მიაღწიონ. ზოგადად, უნდა ითქვას, რომ მძიმე, ცინიკური სიტუაციაა შემდეგი კუთხითაც — არჩევნებში სამოცი სუბიექტი მონაწილეობს. გამოდის,



რომ საქართველოში, დაახლოებით, ცხრა ათასი პოლიტიკოსი გვყოლია თავისი უამრავი კოორდინატორით, თანამშრომლით და ა.შ. პრაქტიკულად, საქართველო პოლიტიკოსების სამშობლოა. აი, ასეთი სურათი იკვეთება, თან, ყველას ამბიცია აქვს, რომ ამ ქვეყანას შეცვლის.

**— რა მოლოდინები გაქვთ არჩევნებისგან?**

— საკმაოდ მძიმე მოლოდინები მაქვს იმიტომ, რომ რაც არჩევნებამდე ხდება — გააქტიურებული კრიმინალური შემთხვევები, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს შორის გაუთავებელი შეტაკებები, დაპირისპირებები, ბუნებრივია, ეჭვს და სამწუხარო მოლოდინს აჩენს, რომ არჩევნების მეორე დღეს კაცმა არ იცის რა მოხდება. მოკლედ, ჩვენ, ვხედავთ კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტების განწყობებს — რა შედეგიც არ უნდა დადგეს არჩევნების მეორე დღეს, ისინი ამას მაინც არ შეურიგდებიან. „ნაცებმა" თვითონაც რომ გაიმარჯვონ, შედეგებს მაინც არ შეურიგდებიან. შეიძლება იგივე განმეორდეს რაც დავუშვათ, „ვარდების რევოლუციის" კონტექსტში მოხდა. მაშინ, ხომ პრაქტიკულად, ოპოზიციამ გაიმარჯვა, მაგრამ მაინც რევოლუციური სცენარი გაათამაშა. ახლაც, იგივეს ველოდები. თუ ასე არ მოხდება, ბუნებრივია, ძალიან გამიხარდება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩანს, რევოლუციის მოწყობის სურვილი გარკვეულ ოპოზიციურ ძალებს აშკარად აქვთ.

**— ბევრი სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა. როგორ შეიძლება ხმები გადანაწილდეს, „ქართულ ოცნებას" ალტერნატივა ჰყავს?**

— დღევანდელი გადმოსახედიდან „ქართული ოცნება" გამარჯვებულია. საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღე რჩება. უნდა ითქვას, რომ ასეთი არჩევნები საქართველოს ისტორიაში მე არ მახსოვს, როდესაც თანმხვედრი უმძიმესი პანდემიური ვითარებაა. აქედან გამომდინარე, უმძიმესი ფსიქოლოგიური ფონია, რაც დღითიდღე უფრო და უფრო მძიმდება. ამ თვალსაზრისით, რა მოხდება არჩევნების დღეს, არავინ იცის.

**— დასავლეთი გვეუბნება დემოკრატიული, სამართლიანი არჩევნები ჩაატარეთო, მაგრამ არჩევნებში ისეთი პარტიები მონაწილეობენ, რომელთაც ახლოსაც არ ჩაუვლიათ დემოკრატიასთან.**

— ხოდა, მეც სწორედ მანდ ვარ — „ნაცებმა" თავისი პარტიის რებრენდინგი გააკეთეს და შეეცადნენ საპარლამენტო სიის პირველი ოცეული ისე დაელაგებინათ, რომ ადამიანები, რომლებიც დანაშაულებებში მონაწილეობენ, ძალიან მკვეთრად არ გამოჩენილიყვნენ. თუმცა, მოლაპარაკე თავები მაინც ისევ ის ხალხი ჰყავთ, რომელიც საზოგადოებისთვის მიუღებელია, პირველ რიგში, ეს გახლავთ მიხეილ სააკაშვილი. მიუხედავად ყველაფრისა, მათ თავიანთი ელექტორატი მაინც ჰყავთ. მათ დემოკრატიასთან გაუვლიათ თუ არა, ეს მათ ამომრჩეველ 10-15%-ს არ აინტერესებს. მათთვის მთავარი მიხეილ სააკაშვილის ხიბლია. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ბელადომანია, ბელადების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება და მათი ქმედებების შეუფასებლობა ქართული პოლიტიკისთვის, საზოგადოებისთვის 90-იანი წლებიდან მოყოლებული დამახასიათებელია. ქართული პოლიტიკური კულტურა იმდენად დაბალ დონეზეა, რომ ეს უბედურება კიდევ დიდხანს გაგრძელდება. აქედან გამომდინარე, დემოკრატიულობაზე ლაპარაკი, უბრალოდ, ფონის შენარჩუნების სურვილი და დასავლეთისთვის გზავნილია, თითქოს, ჩვენ, დემოკრატიას ვქმნით. სინამდვილეში, დემოკრატიისგან ძალიან შორს ვართ იმიტომ, რომ იგი ხალხის მმართველობას გულისხმობს და არა ბელადომანიას. მაგრამ ბელადომანია ჩვენშია გამჯდარი და დიდხანს ასე იქნება. სამწუხაროდ, დემოკრატიული ფასეულობები, ჩვენთვის, მთავარი არ არის.

ეს მარტო საქართველოს სენი არ არის. ეს გახლავთ ტოტალიტარული რეჟიმის ნაშთი, რომელიც არამხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცის, არამედ ევროპის ბევრ ქვეყანაშიც კი არის. ჩვენ, რატომღაც, როცა ევროპაზე ვლაპარაკობთ საფრანგეთი, გერმანია, ან თუნდაც, სკანდინავია გვახსენდება. ევროპაში შედის აღმოსავლეთ ევროპაც და რაც მთავარია, ბალკანეთი, სადაც დემოკრატიის არსებობის შესახებ მხოლოდ ყურმოკვრით იციან. დემოკრატიის მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადავდგით, მაგრამ მერე, უკან გადმოდგმა დავიწყეთ. ცოტა წინ წავალთ, მერე, ისევ გავჩერდებით, მერე გვერდზე გადავალთ და ა.შ. პრინციპში, ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის თანმიმდევრული, ნაბიჯ-ნაბიჯ, მყარი განვითარება არ ხდება შემდეგი მიზეზის გამო: როდესაც განვითარების პროცესი რაღაც პერსპექტიულ ფორმას მიიღებს, იმ წუთას გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც სიტუაციას თავის თავზე ირგებენ. მხოლოდ „ნაცმოძრაობას" არ ვგულისხმობ, არამედ „ევროპულ საქართველოს" და სხვა ბევრს, რომლებიც სამწუხაროდ, არეულობისთვის ემზადებიან.

**— ბატონო მამუკა, მაშინ რა იცვლება. კი, შეიძლება, მრავალპარტიული პარლამენტი მივიღოთ, მაგრამ ეს ხსნის პრობლემას?**

— გეტყვი, რა იცვლება. ერთადერთი იმედი დამრჩა: „ქართულმა ოცნებამ" მიუხედავად იმისა, რომ საკრიტიკო ბევრი აქვს, გარკვეული პროცესები დაიწყო, ეს იქნება ეკონომიკის, სოციალური სფეროს განვითარება თუ სხვა. რასაკვირველია, ქვეყანაში საკრიტიკო ბევრი რამ არის, მაგრამ ეს პროცესები დაწყებულია და მაქვს სურვილი, რომ მათ ეს ლოგიკურ შედეგებამდე მიიყვანონ. განსაკუთრებული მოლოდინები არ მაქვს. ამიტომ გვინდა, რომ ეს არჩევნები გადაგორდეს და 2024 წლისთვის, პრაქტიკულად, პოლიტიკაში მოვა ახალი თაობა, რომელსაც სხვა ბიოგრაფია აქვს. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რაც ჩვენს პარტნიორ ქვეყანაში ამერიკაში ხდება, სადაც ჩემს სასიხარულოდ, როგორც ჩანს, ისევ ტრამპი იმარჯვებს. აქედან გამომდინარე, გაიმარჯვებს ის ფასეულობები, რომელსაც ტრამპის ადმინისტრაცია ოთხი წელია ცდილობს ამერიკაში დაამკვიდროს. ეს არის ტრადიციონალისტური მიდგომები. სხვათა შორის, **აშშ-ში მცხოვრები ჩემი მეგობრები მეუბნებიან: ამერიკელთა შორის იზრდება იმ ხალხის რაოდენობა, ვინც ამბობს: თუ ბაიდენმა დააპირა სამოქალაქო დაპირისპირების რეჟიმის შექმნა, მაშინ ჩვენ, ტრამპის ადმინისტრაციის გვერდით იარაღით დავდგებითო. ამას რიგითი ამერიკელები ამბობენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ, იმედი გვაქვს, რომ ტრადიციონალისტური მიდგომები, უკვე, არა მხოლოდ ამერიკის პოლიტიკაზე გავრცელდება, არამედ ამერიკულ პოლიტიკაზეც მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოშიც.** ვიცით, რომ ჩვენს ქვეყანაში ამერიკული პოლიტიკის გავლენები ძალიან სერიოზულია და მინდა, ამას ქართულ საზოგადოებაში შესაბამისი გამოძახილი ჰქონდეს.

**— თუნდაც, ვერ გაიმარჯვონ „ნაცებმა", ოპოზიციის რანგში ბოკერიები, უგულავები ისევ პარლამენტში დასხდებიან და კიდევ ოთხი წელი მათ ჭკუის დარიგებებს უნდა ვუსმინოთ?**

— იცი რაშია საქმე, ეს, მთლიანად, „ქართული ოცნების" დამსახურება. რამდენი ხანია თქვენი გაზეთის ფურცლებიდან როგორც „ქართული ოცნების" ერთ-ერთი დამფუძნებელი ყოველთვის ვამბობდი: ჩვენი მთავარი მოვალეობა პირველივე დღეებში იყოის, რომ პოლიტიკური შეფასება მიგვეცა იმ დანაშაულისთვის და ქმედებებისთვის, რაც მაშინ განხორციელდა. ეს იმიტომ, რომ ამ პოლიტიკურ შეფასებას ეძლევა მერე, მორალური და ბოლოსდაბოლოს, სამართლებრივი შეფასება. რაც იმ დროს ხდებოდა, არ იყო სწორი. ამით ახალგაზრდა თაობას ვეტყოდით, რომ ეს არ არის სწორი, არ შეიძლება ეს ხალხი პოლიტიკაში მიუშვა ამა და ამ დანაშაულობების გამო-თქო. ასეთი ქმედებები, რაც „ნაცებმა" ჩაიდინეს, დაუშვებელია. კი ბატონო, სააკაშვილმა ბათუმი, ხიდები ააშენა, გზები გააკეთა, ეს ძალიან კარგია და ვაფასებთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერის ღირსება გათელო, უამრავი ადამიანი სასიკვდილოდ გაიმეტო, ქვეყანაში შიშის, ჩაშვების გარემო შექმნა. 2013 წელს უნდა გვეთქვა, რომ ამ ადამიანებს პოლიტიკაში ვერ დავუშვებთ, ვგმობთ მათ ქმედებებს და იმ ადამიანებისთვის ვისაც ამაში უშუალო მონაწილეობა აქვთ მიღებული, თუნდაც, მესამე თანამდებობის პირები ყოფილიყვნენ, გვეთქვა, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. ამას ჰქვია ლუსტრაცია, პოლიტიკური, სამართლებრივი შეფასება და ა.შ. არ იყო ამ ადამიანების გვერდში დაყენება, გამოყენება, გადმობირება საჭირო. ისინი არ ქმნიდნენ ისეთ ამინდს, რომ მათთვის ასეთი „პატივი" გვეცა. შესაბამისად, არ უნდა გაგვეწირა ის ადამიანები, რომლებმაც 2012 წელს თავი გადადეს იმისათვის, რომ რეჟიმი შეცვლილიყო.

6 გვ. →

# ნაცმოძრაობა - მკვლელების დესანტი ჯოჯოხეთიდან

(დასასრული, დასაწყისი. იხ. „ს.გ“ N30-33)

წყვდიადის შავი ძალები უძლურნი იქნებოდნენ ღვთისაგან განშორებული ადამიანები საკუთარ თავზე უფლების მინიჭებით რომ არ აძლევდნენ მათ ძალას. არჩევნების წინ, სისხლს მოწყურებული, მაჯლაჯუნების ლეგიონი, მრევლის ტვინის გამორეცხვით, ისეა როლში შესული ლამის თვითონაც დაიჯერონ მათ მიერ უნიჭოდ შეთხზული ზღაპრების. ჯოჯოხეთის განსაკუთრებულ რეკლამებს დიდი მონდომებით ქმნიან და გონებადიბუნდულ მომხრეებს პირდაპირ მოთუხთუხე ქვაბში ეპატიჟებიან...ნარკოტიკით გამოთაყვანებულმა სააკაშვილმა







რამოდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ ქუჩაში ხალხს კრიმინალები კლავდნენ, მაგრამ ის კრიმინალები მის ხელისუფლებაში, რომ „ბინადრობდნენ“ აღარ ახსოვს. სამაგიეროდ ახსოვს მისი ყასაბი ცოლის ქმედებები და ცდილობს მის გათეთრებას- „სანდრა ორგანოებით ვაჭრობდაო, იქნებ ამაზეც მითხრათ, იქნებ ოდნავ მაინც ვაჭრობდაო, ან ვიღაც ვიღაცეებს ოდნავ ხომ არ აკვნეტდა? ასეთ სტერეოტიპებს ავრცელებდნენ. ნაწილი საზოგადოების ჩვეულებრივად დააჯერეს. ამერიკაში ჩაიდინეს იგივე რაღაცეები რუსებმა, იქ გამოუვიდათ და საქართველოში როგორ არ გამოუვიდოდათ,“. ვის რას აკვნეტდა სანდრა საზოგადოებას ნაკლებად აინტერესებს, თუმცა სასურველი იყო „პირველი ლედი“ ერთადგილ ამხედრებული არ ყოფილიყო. რაც შეეხება ორგანოებით ვაჭრობით მის „გატაცებაზე“, სანდრას უკრაინული მედიაც ამხელდა და ქართულიც. მიცვალებულ, ნაწამებ პატიმრებს არცერთი ორგანო, რომ არ ჰქონდა ფაქტია. შესაძლოა ორგანოების ნაწილით შეშლილი მიხეილი და მისი „ნასედკა“მეორე ნახევარი იკვებებოდნენ კიდეც და ნადიმზე ნაცელიტასაც უმასპინძლდებოდნენ, ვინ იცის... მართალია ნაცების გამოთაყვანებულ მრევლს არ ჯერა იმ გაუგონარი სისასტიკის რასაც ნაცელიტა სჩადიოდა, მაგრამ არსებობს უამრავი ადამიანი (მათ შორის მეც) ვინც თავის ტყავზე გამოსცადა, თავის თვალით ნახა რა ხდებოდა ნაცების ზეობის პერიოდში, ციხეში თუ მის გარეთ. ციხეებში წამების მეთოდებზე არაერთი ცნობილი თუ უცნობი ადამიანი საუბრობდა და საუბრობს. სულხან მოლაშვილმა არაერთხელ განმარტა, რომ „სააკაშვილმა და „მისმა ხროვამ“ კაცობრიობის წინაშე ჩაიდინეს დანაშაული, რის გამოც ჯერ მათი პარტია უნდა აიკრძალოს, შემდეგ კი მათი დაუყოვნებლივ გასამართლება მოხდეს. მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში წამება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რამაც საზოგადოების დიდი ნაწილი მონებად აქცია, დაავადმყოფა და დახოცა. სააკაშვილის ციხეში გაუპატიურება და გვამების „გაფუჭება“ მუდამ ხდებოდა .„ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმი მიხეილ სააკაშვილმა და ზურაბ ადეიშვილმა, ვანო მერაბიშვილმა და ირაკლი ოქრუაშვილმა შექმნეს. ციხეებში წამება მასობრივი ხასიათის იყო, რაც დღე-ღამის ნებისმიერ დროს ადამიანების მიმართ ფიზიკურ ანგარიშსწორებას, სიკვდილის პირამდე მათ მიყვანას გულისხმობდა. იყო წამების ისეთი ფორმებიც, რომელიც ფიზიკურ შეხებას არ ითვალისწინებდა, მაგრამ ზემოქმედების ძალიან მომაკვდინებელი საშუალება იყო პატიმრისთვის. ხშირი იყო ე.წ. გვამების "გაფუჭება", რომ საექსპერტოდ არ გამოსდგომოდა ცხედარი ჭირისუფალს. იყო გვამების "გამჭრელი" პატიმარი. პატიმარს, რომელსაც ეს ფუნქცია ეკისრებოდა, კარგ პირობებში იხდიდა სასჯელს. დავალებული ჰქონდა — რომ შემოაკვდებოდათ, ნაწამები პატიმრის ცხედარი მორგში ისე დაემუშავებინა, რომ გარეთ გატანის ან გვამის ექსჰუმაციის შემთხვევაში, ექსპერტიზას მისი გარდაცვალების ნამდვილი მიზეზი არ დაედგინა. გარდაცვლილისთვის უნდა ამოეცალა შიგნეულობა და მუცელში, ადამიანის ორგანოების ნაცვლად, იატაკის ჭუჭყიანი ნაჭრები, ხის ყუთის ფიცრები და ათასგვარი სიბინძურე ჩაელაგებინა.“ 2012 წლის შემოდგომაზე გამომჟღავნდა ცემისა და წამების უამრავი ფაქტები, რომლებიც გამყარებულია დოკუმენტებით, აგრეთვე სექსუალური ძალადობის შემცველი ვიდეოები, რომლებსაც ციხეებში იღებდნენ...2008 წლამდე შპს "კუს ტბა კალა" ძმებ ხარძიანებს ეკუთვნოდათ, მაგრამ 2008 წლის აპრილში არადამიანურად ნაწამები ბესარიონ ხარძიანი, იძულებული გახდა 7%-იანი წილი დღეს, ნაცხროვის საარჩევნო სიის პირველი ნომრის, „მსოფლიოში ცნობილ“მომღერალ ვახტანგ კიკაბიძისთვის დაეთმო. დეკემბერში კი ბესო ხარძიანმა 11% გია უდესიანს გადაუფორმა, რამდენიმე დღეში კიდევ 11% — უდესიანის მეუღლეს. ხარძიანის ოჯახის წევრებმა ერთ დღეში ექვსი ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმეს და წილები იძულებით გაყიდეს. ბიზნესმენი ბესო ხარძიანი ნარკოტიკების მოხმარება-შენახვა-დამზადების ბრალდებით უკანონოდ იყო დაპატიმრებული. მან ციხიდან შემოუთვალა ოჯახის წევრებს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც მათ სახლში მიაკითხავდნენ, მთელი ქონება და ობიექტების წილები გადაეფორმებინათ. სამწუხაროდ, ციხიდან გამოსვლის შემდეგ ამაოდ ელოდა სამართლიანობის აღდგენას ხარძიანი-"ცუდ გაფრთხილებას ვიძლევი: თუ არ აღდგა სამართლიანობა, 70-იანი წლების სიცილია მონაგონი გახდება საქართველოში!" — ამის თქმიდან ზუსტად ორ კვირაში ბიზნესმენი ბესო ხარძიანი 2015 წლის 28 მარტს საკუთარ საცხოვრებელ სახლთან ქუჩაში მოკლეს., საჯაროდ, ისევე, როგორც რამდენიმე წლის წინათ გურამ შარაძე, იმავე ხელწერით მოკლეს იური ვაზაგაშვილი. "ყველა დაზარალებული ერთად მივადგეთ ამ ხელისუფლებას და პასუხი მოვთხოვოთ. ყველა დაზარალებულმა ვიცით, ვინ ვისი მფარველია და ვისი ფულით იკვებება" აღნიშნული განცხადებიდან ერთ კვირაში ვაზაგაშვილიც მოკლეს.. საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, ხარძიანის მკვლელობაში მხილებული იყვნენ უკრაინის მოქალაქე, 1985 წლის 29 მაისს დაბადებული ოლეკსანდრ დამეტოვი და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, 1973 წლის 04 სექტემბერს დაბადებული ოლეგ დოევი. ბესარიონ ხარძიანი 2015 წლის 28 მარტს საკუთარ საცხოვრებელ სახლთან მოკლეს.“



...დღეს, მთავარი ქინძი უტიფრად ცდილობს თავის მცირერიცხოვან მრევლს დააჯეროს, რომ ციხეში, მის გარეთ და საერთოდ ქვეყანაში სანიმუშო წესრიგი სუფევდა, უდანაშაულო ადამიანების ხმაურიანი დაჭერა, წამება, დახოცვა რუსეთის მიერ გავრცელებული სიცრუე იყო, კრიალაშვილი, შავაძე, რობაქიძე, ვაზაგაშვილი და სხვა უმოწყალოდ ჩახოცილი უამრავი, უდანაშაულო, საჯიშე ბიჭების ფაქტები „ჩაუდეს“. უფრო ღრმად „ჩაუდეს“2012 წელს ციხის ჯალათების სია. ალექსანდრე მუხაძე, მეტსახელად "ქილერა"; მეგის ქარდავა, განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული ჯალათი. გოგა ბუთლიაშვილი — გლდანის N8 საპატიმრო დაწესებულების სოციალური სამსახურის უფროსი, სასჯელაღსრულების სისტემაში "ქილერას" თანმხლები პირი და მის მარჯვენა ხელი. ბუთლიაშვილი უშუალოდ ცემდა და აწამებდა პატიმრებს; თამაზ მელაძე — გლდანის N8 საპყრობილის ყოფილი დირექტორი; რობერტ არაქელოვი — განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული ჯალათი, ქსნის საპატიმრო დაწესებულების ყოფილი დირექტორი; ავთო პოპიაშვილი, გიორგი ბიწაძე — ციხის სამკურნალო დაწესებულების თანამშრომლები; ზემოთ აღნიშნული ჯალათები 2010 წელს სახალხო დამცველის ანგარიშში მოხვდნენ, როგორც პატიმრების მწამებლები; ნაწამები ჰყავთ ასობით პატიმარი; დაბა ქსნის N15 საპატიმრო დაწესებულების დირექტორის მოადგილე, გიორგი კოხრეიძე და რეჟიმის უფროსი ლევან ლეჟავა — 2010 წლის 19 აგვისტოს, ფერისცვალება დღეს, ღამის ათ საათზე სპეცრაზმმა პატიმრები დაბა ქსნის [illegible] 15 დაწესებულებაში სასტიკად სცემა; ისინი გააშიშვლეს და სპეცრაზმის ეგრედ წოდებულ ცოცხალ კორიდორებში გავლისას რეზინის ხელკეტებს ურტყამდნენ. ამ საქმეში სპეცრაზმელებს გიორგი კოხრეიძე და ლევან ლეჟავაც ეხმარებოდნენ; ქიტესა გულისაშვილი, გელა ოსიავა — დაბა ქსნის N15 საპატიმრო დაწესებულების გამორჩეული ჯალათები. ნაწამები ჰყავთ არა ერთი პატიმარი; ლაშა ბრეგვაძე, დავით ბუხრაშვილი — ლაშა ბრეგვაძე რუსთავის N17 საპატიმრო დაწესებულებას ხელმძღვანელობდა. მსჯავრდებულ ილგარ მამედ–ზადეს მიერ დაწერილ განცხადება–საჩივარში აღნიშნულია, რომ ბრეგვაძე მის მოადგილესთან, დავით ბუხრაშვილთან ერთად მამედ–ზადეს სასტიკად აწამებდა; დავით მარგებაძე, რუსთავის N6 საპყრობილის დირექტორი — პატიმარ კახაბერ თედლიაშვილის წამებაში მონაწილეობდა; კახაბერ თედლიაშვილი ჩამომხრჩვალი იპოვეს. ამკვიდრებდნენ თვითმკვლელობის ვერსიას, მაგრამ ადვოკატთა და ექსპერტთა განმარტებით, თედლიაშვილი მოკლეს; ჯონი ივანიშვილი, რუსთავის N6 საპყრობილის თანამშრომელი — ასევე, მონაწილეობდა კახაბერ თედლიაშვილის წამებაში; ვინმე ანგო, გლდანის N8 საპყრობილე — სასტიკად აწამებს პატიმრებს; დათო, მეტსახელად — ხონსკი, გლდანის N8 საპყრობილე — სასტიკად აწამებს პატიმრებს; გოდერძი გუნიავა, N7 საპყრობილის დირექტორი — აწამა გაიოზ ზვიადაძე; ექიმი გია კირკიტაძე, რუსთავის N6 საპყრობილეში მუშაობდა — მხილებულია პატიმართა წამებაში; ექიმი აფციაური, რუსთავის N17 დაწესებულება — მხილებულია პატიმართა წამებაში; შოთა თოლორდავა, ქსნის მე-15 საპატიმრო დაწესებულების დირექტორი — მხილებულია პატიმართა წამებაში; კესო დანელია, ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო და საპყრობილის რეჟიმის N5







6 გვ. →

# არჩევანის გაკეთება იმ ქვეყანაში, სადაც დაახლოებით, ცხრა ათასი პოლიტიკოსი გყავს, არც ისე ადვილი საქმეა

4 გვ.

**— „ქართული ოცნების" საპარლამენტო სია თუ ამართლებს თქვენს მოლოდინებს?**

— ახლა, ამაზე საუბარი არ მინდა იმიტომ, რომ კარს არჩევნებია მომდგარი. 5 ნოემბერს დამირეკე და ყველაფერს გეტყვი: რას ვფიქრობ, საერთოდ, სიებზე ზოგადად და მათ შორის, „ქართული ოცნების" სიებზეც.

**— დასაწყისში კრიმინოგენული სიტუაცია ახსენეთ. ზუგდიდში, ბანკში მომხდარ თავდასხმას არჩევნებთან აკავშირებთ?**

— დიახ, დასაწყისში სწორედ მაქედან დავიწყე საუბარი. ქვეყანაში ეჭვიანობის ძალიან მაღალი დონეა. ჩვენი საზოგადოება ყველაფერზე ეჭვიანობს. კრიმინალური აქტივობები რაც ამ ბოლო დროს საქართველოში ხდება, გარკვეულწილად, პოლიტიკასთან, არჩევნებთან არის კავშირში. აი, ამაში აჯერებენ საზოგადოებას და მე, პირადად, მათ გადარწმუნებას ვერ ვახერხებ. მით უმეტეს, რომ სააკაშვილს ნათქვამი აქვს: ჩვენ, ბიძინა ივანიშვილს სიურპრიზებს ვუმზადებთო. რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ყველაფერი ბმაშია, რათა რაც შეიძლება უარყოფითად გამოჩნდეს ხელისუფლების მოქმედება და მეთოდოლოგია. გინდა, ზუგდიდს ამბავი ავიღოთ, გინდა, ნემსიწვერიძის მკვლელობა და სხვა. ნემსიწვერიძის ამბავი დიდიხანია გრძელდება და რაღა, მაინცდამაინც, არჩევნებამდე რამოდენიმე დღით ადრე დაესხნენ თავს. ასევე, გავიხსენოთ, არაერთი დაყაჩაღების ფაქტი და ა.შ. მაგალითად, ჩემთვის, წალკაში ახალი ზელანდიელების ოჯახის დაყაჩაღების ფაქტი, ცალსახად, არჩევნებთან არის დაკავშირებული. ამ აზრს თავიდან ვერავინ ამომიგდებს. დარწმუნებული ვარ, ეს შეგნებულად მოხდა ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის.







**— როგორი პოლიტიკოსებიც გვყავს, ეს საზოგადოების ბრალიაც ხომ არ არის?**

— პოლიტიკურ კულტურაზე ლაპარაკი არ არის, როგორც ზემოთ აღვნიშნე, დონე საკმაოდ დაბალია. შესაბამისად, ადამიანებიც ასეთები არიან. უამრავ ადამიანს ვიცნობ, რომელსაც პოლიტიკაში ჩართვა არ უნდა იმიტომ, რომ ღირსება აქვს და თავს პატივს სცემს. პოლიტიკაში წასული ადამიანების 80%, პრაქტიკულად, არც საკუთარ თავს სცემს პატივს, არც ქვეყანას, არამედ თავისი პოლიტიკური მდგომარეობით უნდა მოიპოვოს კეთილდღეობა. დიახ, არსებობს კატეგორია, რომელსაც არც ქვეყანა აინტერესებს, არც არაფერი, ოღონდ, საკუთარი თავი დაიმკვიდროს, შეიქმნას პოლიტიკური სიმაღლე, ბიზნესი მართოს და ფული იშოვოს. ამას საზოგადოება ხედავს და ამიტომაც არის ნიჰილისტურად განწყობილი პოლიტიკური ვითარების მიმართ.

**— რა არჩევანი აქვს საზოგადოებას?**

— უნდა აღინიშნოს, რომ მმართველმა ძალამ ძალიან მნიშვნელოვანი რამ გააკეთა — მან ქვეყანას სტაბილურობა შეუნარჩუნა. „ქართული ოცნების" წარმომადგენლები ამბობენ: ჩვენი მმართველობის პერიოდში ქვეყანაში ომი არ მომხდარაო. მე, ვეთანხმები. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ქვეყანა არც შიდა და არც გარე ომში ჩართული არ ყოფილა.ე.ი. ამ პოლიტიკურმა ძალამ მიუხედავად იმისა, რომ მათ მიმართ ბევრი შენიშვნა არსებობს, სტაბილური განვითარების გარემო შექმნა. შეიძლება ეს ნახტომისებური განვითარება არ არის, მაგრამ ხომ არის. ამ ორ ძალას შორის ამომრჩეველმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. მათ ვურჩევ, ისევ სტაბილურობას დაუჭირონ მხარი და არა სავარაუდო ქაოსს, დაძაბულობას და იმ შეცდომების გამეორებას, რაც „ნაცებს" თავის დროზე ჰქონდათ. ისინი ამბობენ: შეცდომებს აღარ გავიმეორებთო, მაგრამ რა გარანტია გვაქვს მაშინ, როცა არსებობს მიხეილ სააკაშვილი თავისი არაპროგნოზირებადი საქციელით.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ნაცმოძრაობა - მკვლელების დესანტი ჯოჯოხეთიდან

5 გვ.

დაწესებულების ექიმი — მხილებულია პატიმართა წამებაში; დიმიტრი ჩხეიძე, ქსნის ციხის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი — სასტიკაც სცემა პატიმარი ილია ჭიჭიბოშვილი; ასევე, გლდანის ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები: ბექა მჟავანაძე, ბაკურ ქავთარაძე, რომან მიქავა და ექიმები: ნუნუ მჭედლიშვილი და მაყვალა მღებრიშვილი — ცოტნე გამსახურდიას ინფორმაციით, პატიმრებს სასტიკად აწამებდნენ...

ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში, სადაც საზოგადოება თავის სიმაღლეზე დგას, სადაც საზოგადოებას თავმოყვარეობა გააჩნია, მიხეილ სააკაშვილი თავის ნაზირ-ვეზირებთან ერთად აქამდე ლინჩის წესითაც კი უნდა იყოს გასამართლებული, რადგან მის სახელს უამრავი სისხლი და რბევა უკავშირდება. მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება ნულოვანი ტოლერანტობა და ქუჩაში ჩახოცილი ახალგაზრდა ბიჭები; მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება კუბდართმოყვარული გია ბარამიძისთვის ბრძანების მიცემა და სვანეთში, მძინარე ოჯახზე სარაკეტო იერიშის მიტანა, რომლის შედეგებიც საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი. მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება უამრავი ნგრევა, ქუთაისში მემორიალის აფეთქებას შეწირილი მსხვერპლი. საკუთრების უფლების ხელყოფა და ბიზნესმენების მიერ ღამის სამ საათზე წილების „ნებაყოფილობითი" დათმობა; მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება უამრავი უდანაშაულო ადამიანის ციხეში გამოკეტვა, პოლიტრეპრესიები და პოლიტიკური მოწინააღმდეგის წინააღმდეგ ყველა, მათ შორის მორალსა და ზნეობას მოკლებული მეთოდების გამოყენება. მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების გასხვისება. მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება იმ სიმახინჯეების აშენება თბილისში და არა მარტო თბილისში, რომელიც საზოგადოებას, სამწუხაროდ, დღემდე ნერვებს უშლის.მიხეილ სააკაშვილის, როგორც მთავარსარდლის სახელს უკავშირდება გორში სამარცხვინოდ ქუჩაში ფორთხვა და საერთაშორისო მედიასაშუალების პირდაპირ ეთერში შიშისგან საკუთარი ჰალსტუხის ღეჭვა. მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება მისი გარემოცვის უეცრად გამდიდრება, მისი დედიკოსთვის უზარმაზარი ადმინისტრაციული შენობების ჩუქება, ხოლო მისი ბებიკო მზიასთვის, უცხოურ ტურებში ბიუჯეტის ხარჯზე სეირნობა; მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება ახალგაზრდა, ლამაზი გოგონებისთვის ბიუჯეტის ხარჯზე უძვირფასესი საჩუქრების გაკეთება და ასევე, ბიუჯეტის ხარჯზე, მისი შვილის სწავლის საკმაოდ ძვირი საფასურის გადახდა და ბოლოს, მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება ის უდიდესი ავანტიურა და ის უდიდესი ტრაგედია, რომელიც ქვეყანას ტერიტორიების ოცი პროცენტის დაკარგვად, ათეულ ათასობით დევნილად და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარების პერსპექტივის გაურკვეველი ვადით გადაწევად დაუჯდა...ესაა უმცირესი ჩამონათვალი იმ დანაშაულებისა, რომელიც მიხეილ სააკაშვილის და მისი ვეზირების სახელს უკავშირდება.

ფასდაუდებელი იქნებოდა 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიების საქმეში ეროსი კიწმარიშვილის როლი. მისი თვითმკვლელობა თუ მკვლელობაც მხოლოდ ნაცხროვის ინტერესებში გახლდათ, რადგან სწორედ ამ პერიოდში, ის საქართველოს ელჩი იყო რუსეთში და შესაბამისად, უეჭველია, რომ უამრავ ფასდაუდებელ ინფორმაციასაც ფლობდა. ამ ვარაუდს აძლიერებს მისი დაკითხვის ფაქტი დავითაიას კომისიის მიერ, როდესაც გამწარებულმა გივი თარგამაძემ კიწმარიშვილს პირდაპირ ეთერში ავტოკალამი ესროლა...

წლების წინ, როდესაც ხელისუფლება მიხეილის და მისი რაზმის პასუხისგებაზე ალაპარაკდა რესპუბლიკელმა სენატორმა, მაკკეინმა და მისმა თანამოაზრეებმა ლოყების დახოკვისა და მოთქმა-გოდების მეთოდს მიმართეს და საქართველოს მთავრობის მისამართით უსტარი აფრინეს, თან სააკაშვილისთვის ბრალის წაყენების გამო, იმედგაცრუებაც გამოხატეს. ამერიკის შეერთებულ შტატებს, თუ ის მართლაც დემოკრატიის მექაა, მიხეილ სააკაშვილის მიმართ იმედი ჯერ კიდევ წლების წინ უნდა გაცრუებოდა, მაგრამ ძალმომრეობაზე დამყარებულ დღევანდელ მსოფლიო წესრიგში, „ჩვენი ძაღლიშვილის" ფორმულა კვლავ აქტუალურია და მსოფლიო ზესახელმწიფოებიც სწორედ ამ ფორმულით სარგებლობენ. მიხეილ სააკაშვილი — ადექვატურობისა და ფსიქიკური წონასწორობის ჩარჩოებს, უკვე კარგა ხანია გასცდა. დღეს, როდესაც ახალი ხელისუფლების ნებისმიერ ქმედებას დასავლეთი არგუსის თვალით აკვირდება და შესაშფოთებლადაც მუდმივად მზადაა, ის მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დასაწყისში, თუნდაც ორჯერ რომ შეშფოთებულიყო, ქართველი ხალხი ავტორიტარიზმს არ მიიღებდა და არც დასავლეთს ექნებოდა ასეთი დაცემული რეპუტაცია დღეს საქართველოს მოსახლეობის თვალში.



**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# ფრთხილად გიჟები მოდიან!

## ვინ გაალო საგიჟეთის კარები?

1990 წლიდან დღემდე ყველა არჩევნები ვნახე — საპარლამენტოებიც, საპრეზიდენტოებიც, ადგილობრივებიც. შესაბამისად, ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენი გიჟი მყავს ნანახი და რამდენი გიჟობა მაქვს ნანახი? ბევრი, ძალიან ბევრი... თუმცა ბოლო საპრეზიდენტო რომ იყო და ეხლა საპარლამენტო როა, ეგეთი არც ერთი არ ყოფილა. კი, ბატონო, ადრეც კადრულობდნენ ყველაფერს, ადრეც სჩადიოდნენ ათასნაირ სიბინძურეს, მაგრამ ცოცხალი ადამიანი ტელევიზორში გამოდიოდეს და ამტკიცებდეს,



ილია ჭავჭავაძე გახლავართო, პირველად ვნახე. ვინა? ვითომ არ იცით, ვინა და მამუკა ხაზარაძე. როცა პოლიტიკური პარტია შექმნა, ამტკიცებდა, ილია ვარო... მერე რაღაც გეგმა დაწერა და ამოიჩემა, ეს გეგმა მარშალისააო. ლოგიკას თუ მივყვებით, თვითონ გამოდის ჯორჯ მარშალი, რომლის პატივსაცემად 1947 წელს შემუშავებულ ევროპის რეკონსტრუქციის გეგმას დაარქვეს. სწორედ ამაზეა ნათქვამი, სად ერეკლე, სად — პაპაჩემის ყურებიანი ქუდიო... სად მამუკა, სად — ამერიკელი ჯორჯ მარშალი?

ერთხელ ბიძინა ივანიშვილს ვუთხარი, ესენი არ გამოსწორდებიან-მეთქი. შეიძლება არ გამოსწორდნენ, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვცადოთო, ნუ გამოვრიცხავთ, ახალ გარემოებაში ახლებურად იაზროვნონო. აჰა, ვცადეთ და რა გამოვიდა? უკვე აპიპინებენ!

სანამ სხვა მაგალითებზე გადავალ, საგანგებოდ უნდა შეგატყობინოთ, რომ დრო გადის, წყალნი მიდი-მოდიან, მაგრამ მიხეილ სააკაშვილი მაინც რჩება მოწინავე პოზიციებზე, რაღა დაგიმალოთ და... საქართველოს ისტორიას ეგეთი გიჟი არ ახსოვს, გიჟი და თანაც გაიძვერა ავანტიურისტი. აგერ, ამ დღეებში ამაყად განაცხადა, როცა პრეზიდენტი ვიყავი, სამართალდამცავების საქმიანობაში საერთოდ არ ვერეოდიო.

ჰა, ჰა, ჰა... გაიგონეთ? საერთოდ არ ვერეოდიო, არ მაინტერესებდაო, მე მხოლოდ საქართველოს ეკონომიკურ წინსვლაზე ვფიქრობდიო. ეხლაც აბოლებს თავის მიმდევრებს, ნუ გეშინიათ, ამ არჩევნებს მოვიგებთ, ივანიშვილი ვერ გააყალბებსო:

„ჩვენ გვაქვს სხეულის და სახის ამოცნობის, მარტო სახის არა... ყურადღება! სხეულის და სახის, მიხვრა-მოხვრასაც ცნობს ეს აპარატი, რომელიც უკრაინის სპეციალისტებთან ერთად, რომლებიც მოღვაწეობენ ინგლისში და ამერიკაში, დავამუშავეთ და დავნერგეთ საქართველოში“!

ვერ გაიგეთ, რაზეა ლაპარა-



კი, ხომ? თურმე მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში შემოიტანა და დანერგა ჯადოსნური აპარატები (ჯერ არ ვიცით, სად იყიდება, ლილოში თუ ელიავაზე). საარჩევნო უბანზე რომ მიხვალთ და ხმის მიცემას დააპირებთ, იმ წამიდან აპარატი ამოიცნობს თქვენს სახეს, სხეულს, მიხვრას, მოხვრას, გრაციოზულობას, პლასტიკურობას და ასე შემდეგ. თუ უბანზე მეორედ მიხვალთ, აპარატი ეგრევე ამოაგდებს თქვენს მიხვრა-მოხვრას და ატეხავს ჭყვიტინს. არ დაგავიწყდეთ, აპარატი შემუშავებულია იმ უკრაინელი მეცნიერების მიერ, რომლებიც მოღვაწეობენ ინგლისში და ამერიკაში. ამ მსოფლიო დონის მიღწევას კი ხელმძღვანელობდა მიხეილ სააკაშვილი.

აქვე გაფრთხილებთ, ეს არის წმინდა წყლის ბოდვა. რაღაც მსგავსი სააკაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდშიც წამოროშა. არ დაიჯეროთ!

ასევე ძაან „იდეინი“ გამოდგა დავით უსუფაშვილი, რომელმაც მამუკა ხაზარაძეს ასეთი წარდგინება გაუკეთა:

„საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე გთავაზობთ ევროპული სტილის ქართველ პატრიოტ მამუკა ხაზარაძეს“!

ტაში, ამხანაგებო, უსუფაშვილი გვთავაზობს ევროპული სტილის ქართველ პატრიოტს. მე არ ვიცი, როდის დაინახა მან ხაზარაძეში ევროპული სტილი ან პატრიოტი, მაგრამ ხომ გვთავაზობს? ხომ ბოდავს? ისე, თითქმის ყველა პოლიტიკოსს გავუგე, რა უნდა, რა სჭირს, რას ეძებს, მაგრამ ამას ვერა, ამისი თავი და ბოლო ვერ მოვძებნე. არადა, თავიდან თითქოს პერსპექტიული ჩანდა, საშუალო დონეზე მაინც უნდა გაექაჩა. სულ მგონია, რომ ყურში აპარატურა აქვს ჩამონტაჟებული და თინა ხიდაშელი მართავს. შეიძლება არც ვცდები.

სალომე სამადაშვილი ისევ „ფორმაშია“, ყინულზე წაქცეული ჩუტრუკივით ყროყინებს,



სააკაშვილი ფართო მასშტაბის პოლიტიკოსია, რომლის ანალოგიური მონაცემები საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში დღეს არავის აქვსო. პოლიტიკოსობაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ მაწანწალობასა და ტრაბახში რომ ბადალი არ ჰყავს, ამას ჩვენც ვხედავთ. აი, ვუყურებ ამ ქალს და ისეთი შეგრძნება მაქვს, ძველი „ჟიგული“ დაშალეს, ააწყეს, დაშალეს, ააწყეს, მერე „გადაკრასკეს“ და ტრასაზე გაუშვეს.

ადრეც დავწერე და ვიმეორებ: ჩემთვის გაცილებით ამაზრზენია „ოცნების“ ყოფილი წევრი, რომელიც „ოცნებას“ აგინებს, ვიდრე ჭკუიდან გადასული „ნაციონალი“. ერთ-ერთი ასეთი



გახლავთ გედევან ფოფხაძე, რომელიც „მთავარ არხს“ მოუწოდებს, თუ ხელისუფლება დებატებზე უარს იტყვის, სტუდიაში გასაბერი გახარია და ივანიშვილი დადონ.

ეჰ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, მეც კაი ცოდვილი ვარ — დაიწვას ის დღე, როცა გედეონზე მთხოვეს, ჩვენი ბიჭია, გააპიარეო. ეს იყო ადრე, სანამ პარლამენტში დადებდნენ. მეც ხათრით უარი ველარ ვუთხარი ახლობელ იმანოებს და ვაპიარე. ჰმ, ეხლა კიდე იძახის, სტუდიაში გასაბერი გახარია და ივანიშვილი დადეთო. თან ვის ეუბნება? ჩაჯვი გვარამიას. პრინციპში, არც უნდა მიკვირდეს, ჩაჯვი და ეგ ძმაკაცები არიან, მოაზროვნეთა კლუბში ერთად „მოღვაწეობდნენ“.

გამოგიტყდებით... მე ისიც კი გავარკვიე, რატომ არ აქვს ცას კიბე, როგორ დებენ ვაშლის კან-



ფეტში გულს, რატომ არ გააჩნიათ „ნაციონალებს“ ჭკუა, რატომ ამოდის იონჯა გაზაფხულზე და არა შემოდგომაზე, რატომ ჩერდება სახედარი რუს პირას, რატომ ყროყინებს იგივე სახედარი ყოველ სამ საათში, როგორ ღებავენ ბოლოკსა და სტაფილოს მიწაში და ასე შემდეგ... მაგრამ ვერ ამოვხსენი, რატომ იყენებენ მოღალატეებს გვერდით. შეიძლება ვიღაცამ მითხრას, ღალატი მერე ხდება, წინასწარ ხომ არავინ იცისო? არა, ეგ „რიჟა“ ბაზარია, თუკი მე ვიცი, რომ მავანი მოღალატეა, მავანი იმანოსთან არის შეკრული და არ არის სანდო, თუკი ამის თაობაზე ყველამ იცის, შენ რატომ არ გინდა, რომ



გაიკითხო ან ვინმეს დაუჯერო? წაიყვანენ, დადებენ პარლამენტში, ოთხი წლის განმავლობაში მოასუქებენ, მოაკეთებენ, ბეწვს დაუბწკვინებენ, ამასობაში ამ დაბწკვინებულს, საღათას ძილით რომ ეძინა, გაუჩნდება ამბიციები გამოიღვიძებს და იმ ჭაში აფურთხებს, საიდანაც ცოტა ხნის წინ წყალს სვამდა. აი, ეს ფენომენი ვერ ამოვხსენი, ვერ გამოვიკვლიე... არა, ეს ქვეყანა რომ ჩათლახებით არის გადატენილი, ეგ ვიცი, მე ის ვერ გავიგე, ეს ჩათლახები რატომ ჰყავთ დიდ პატივში, როცა ბუნებრივად პატივცემული და ნამუსიანი ადამიანებიც ბლომად გვყავს?

ა, ისევ წამოყო თავი უცხო ქვეყნის მოქალაქემ, მიხეილ სააკაშვილმა: „საქართველოს დატოვებს ერთი ადამიანი, სპეციალურად გავხსნით ჭორვილაში ერთდღიან საერთაშორისო აეროპორტს და რეისი ჭორვილა-მოსკოვით ჩაბარდეს თავის პატრონს „გაზპრომში“.

ცნობისათვის: „საქართველოს საარჩევნო კოდექსი. მუხლი 4. წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა უცხო ქვეყნის მოქალაქისა და ორგანიზაციისა“.

ხედავთ? ეს კრეტინი ყოველდღე არღვევს კანონს, მაგრამ ისეთ რაღაცებს ლაპარაკობს, ვერც მოედავები. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, იტყვის, მე სიზმრებს ვყვებოდი, თქვენ ვინ გეკითხებათო? არა, ისე მაგარი წარმოსახვითი უნარი აქვს, საქართველოს ერთი ადამიანი დატოვებს, დანარჩენები დარჩებითო. ჰა, ჰა, ჰა... მეტი საქმე არ აქვს ბიძინა ივანიშვილს, ამდენი გაკეთებული საქმე ვინმე მიკლუხო მაკლაის ჩააბაროს და თვითონ აქედან გაიქცეს!

ამ გიორგი (ჯუნიორა) ვაშაძემ კიდე ხომ მოტ...ნა ტვინი, რააა... გიორგი გახარიამ თავისი თავი ამოწურა, წერტილიო. ეს ის არი, დილიდან საღამომდე რომ იძახის, დავით აღმაშენებელი გახლავართო, მისი სტრატეგიით ვმოქმედებო. არადა, ბატონი დავითი ეგეთებს სარზე სვამდა.

და ბოლოს, ნიმუში იმისა, როგორი ავადმყოფები არიან



„ნაციონალები“ და მათთან გათანაბრებული პირები: ხატია დეკანოიძე იძახის, პირობას ვდებ ჩემი ბებიის და ბაბუის საფლავზე, რომ ამ ქვეყანას ოლიგარქისგან გავათავისუფლებთო.

ფსიქიატრების დასკვნა: ავოიე!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# უკეთესი საქართველოსთვის



ქართულ სახელმწიფოს ისტორიული გარდამტეხი პერიოდი უდგას. ეს ბანალური ფრაზა ყოველი არჩევნების წინ გვესმის და უკვე გვაღიზიანებს კიდეც. ასეა ახლაც. ყველანი, დიდი თუ პატარა სულმოუთქმელად ელოდება არჩევნების დღეს, რომელმაც ბევრ კითხვას უნდა გასცეს პასუხი. მთავარი კი ის იქნება, გააგრძელებს თუ არა მშვიდობის და უპირობო დემოკრატიის გზაზე შემდგარი სახელმწიფო შემდგომ წინსვლას თუ ისევ დაუბრუნდება იმ ეპოქას, როდესაც არც ადამიანი და არც სახელმწიფო არავის ენაღვლებოდა და ყველაფერი ერთი კაცის ხუშტურზე იყო დამოკიდებული.

მნიშვნელოვანია ეს არჩევნები, რომელიც სულ რამდენიმე დღეში გაიმართება და კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, გააგრძელებს თუ არა საქართველო იმ გრანდიოზული პროექტების განხორციელებას, რომლებმაც ჩვენი სამშობლო ცივილიზებულ სახელმწიფოთა რიგებში უნდა ჩააყენოს. არადა, სწორედ აქეთკენ მივდივართ. მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული და რეიტინგული სააგენტოების მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, საქართველო მეთოდურად იკავებს წამყვან პოზიციებს ყველა მიმართულებით, რომლებიც ქვეყნის მიერ გადადგმული ნაბიჯების სისწორეში არწმუნებს ყველას, ვისაც საღი აზროვნების უნარი გააჩნია, ვინც დარწმუნებულია რომ ქვეყანა მიზანმიმართულად ვითარდება და იზრდება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქვეყნის ხელისუფლების ნაბიჯები რომლებიც გადაიდგა 21-ე საუკუნის შავი ჭირის, კოვიდ 19 – ის სალიკვიდაციოდ, მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანას ჰყავს გონიერი, წინდახედული და მომავალზე ორიენტირებული ხელმძღვანელობა, რომელიც დინჯად, უხმაუროდ აკეთებს ქვეყნისა და ერისთვის დიდ და მეტად საჭირო საქმეებს. სწორედ ეს აშფოთებთ და აღიზიანებთ იმ ძალებს, რომელთაც თავი უაზრო ავანტიურებით და საკუთარი ავადმყოფური ფანტაზიების განხორციელებით დაგვამახსოვრეს.

ახლა მსურს ჩვენი გაზეთის მკითხველებს წარვუდგინო ბატონი იმედა ნიკურაძე, იგი საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების" პროპორციული სიით იყრის კენჭს და ფაქტობრივად, ახალ სახეს წარმოადგენს ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ბატონი იმედა სამტრედიელია და შემიძლია სიამაყით გაცნობოთ, რომ ეს არცთუ ისე ასაკოვანი კაცი უკვე ხუთი შვილის მამაა. იგი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის აღზრდილია და იურიდიული, კომერციული და მარკეტინგული განათლება აქვს მიღებული. მან უკვე მოასწრო დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება. სხვადასხვა დროს იყო „თბილისის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რამიშვილი და პარტნიორების" დირექტორი, საქართველოს რკინიგზის ინსტიტუტის ლექტორი... იმედია, ეს გამოცდილება დიდად დაეხმარება მას მომავალ საპარლამენტო საქმიანობაში.

თქვენთვის, ალბათ, საინტერესო იქნება ბატონი იმედას მოსაზრებები ჩვენი ქვეყნის განვითარების საჭირბოროტო საკითხებზე.

იგი თავაზიანად დაგვთანხმდა ინტერვიუზე.

— **ბატონო იმედა, მკითხველმა უკვე იცის ზოგი რამ თქვენს შესახებ, მაგრამ იქნებ ორიოდე სიტყვით გვითხრათ, საიდან მოდიხართ და აქამდე რა პრინციპებით იცხოვრეთ?**

— სიამოვნებით მოგახსენებთ, ჩემი ოჯახიდან მოვდივარ. მოვდივარ ჩემი ხუთი შვილის სახელით, მოვდივარ საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხიდან, იმერეთი რომ ჰქვია.

— **თქვენ საკმაოდ საინტერესო ბიოგრაფია გაქვთ, ბუნებრივია დაგისვათ შეკითხვა, რატომ გადაწყვიტეთ პოლიტიკაში მოსვლა, რომელიც ხშირად იმ შავ ხვრელს წარმოადგენს, რომელიც გიზიდავთ და ვინ იცის, რა საფრთხეების წინაშე გაყენებთ.**

— მართლაც საინტერესო კითხვაა. არ მინდა ბანალური ვიყო და მაინც ვიტყვი, რომ პოლიტიკაში იმიტომ მივდივარ, რომ მინდა ჩემი ქვეყანა იმაზე ოდნავ უკეთესი მაინც იყოს, ვიდრე გუშინ და გუშინწინ.

დეპუტატის მანდატი საშუალებას მომცემს მხარი დავუჭირო მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს საკანონმდებლო დონეზე, რომლებიც ქვეყანას და ხალხს გამოადგება. და კიდევ მოვდივარ იმიტომ, რომ ხუთი შვილის მამას მსურს, ჩემმა შვილებმა უკეთეს საქართველოში იცხოვრონ.

— **როგორ გესახებათ თქვენი საპარლამენტო საქმიანობა. რა არის თქვენი უმთავრესი პრიორიტეტები დეპუტატად არჩევის შემთხვევაში.**

— პირველ რიგში, აქტიურად ჩავერთვები საკანონმდებლო საქმიანობაში. ხელს შევუწყობ ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის გაძლიერების პროცესს. მაგრამ ჩემი სიყვარული და თაყვანისცემა მშობლიური რაიონისადმი ყველაფერს გამაკეთებინებს იმისთვის, რათა სამტრედიამ და სამტრედიელებმა იგრძნონ მათზე მზრუნველი ხელისუფლების მხარდაჭერა. იმედია, ამას ნეპოტიზმში არავინ ჩამომართმევს.

— **როგორ შეაფასებთ პოლიტიკურ ვითარებას ქვეყანაში.**

— ქვეყანაში არის უპრეცედენტო დემოკრატია, რაც გამოიხატება ადამიანთა უფლებების დაცვის და სიტყვის თავისუფლების მაღალი სტანდარტით. ასევე განსხვავებით ჩვენი ოპონენტების ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდისგან, არ ხდება პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნა და შევიწროება.

„ქართული ოცნების" მთავარი პრიორიტეტი ადამიანი და ადამიანზე ზრუნვაა, შესაბამისად, ამ შემთხვევაში, „ქართული ოცნება" ის პოლიტიკური ძალაა, რომელიც ყოველთვის იქნება ამ პრინციპების ერთგული.

— **აქვთ თუ არა შანსი თქვენს პოლიტიკურ ოპონენტებს ამ არჩევნებში?**

— სამწუხაროა, რომ დღემდე ჩვენი მთავარი ოპონენტი ის პოლიტიკური ძალაა, რომელმაც სისასტიკითა და ცინიზმით დაამახსოვრა თავი ქართულ საზოგადოებას. საბედნიეროდ, ხალხს აქვს არაჩვეულებრივი მეხსიერება და სწორედ ამიტომ, ამ არჩევნებზე, კიდევ ერთხელ გასცემს საკადრის პასუხს მათ. ადამიანები, რომლებიც ღამე შემთხვევით გაშვებული ზარის გამო შეთითხნილი ბრალდებებით ციხეებში უშვებდა წესიერ, პატიოსან და მშრომელ ახალგაზრდებს, ისინი ვინც საკუთარ სახლში ანტენის დაყენების უფლებას არ აძლევდნენ ადამიანებს, რომ ტელევიზორისთვის ეყურებინათ, ტელევიზიებს იღებდნენ შტურმით და მედიას სრულად აკონტროლებდნენ, ვერასოდეს მიიღებენ ხალხის მხარდაჭერას. ყველა კვლევა იმას ადასტურებს, რომ ისინი მარცხისთვის არიან განწირული და იმედია, საერთოდაც ხელისუფლების ოპონირებაში უფრო ჯანსაღი ძალები ჩაანაცვლებენ ამ ბოროტებითა და ადამიანის წამებით „სახელგანთქმულ" ძალას.

— **დარწმუნებული ვარ, ღირსეულად გაიმარჯვებთ და თქვენი მოღვაწეობით დაამახსოვრებთ თავს ამომრჩეველს.**

— ჩემთვის, ისევე როგორც ჩემი თანაგუნდელებისთვის სადეპუტატო მანდატი და ქვეყნის მმართველობაზე აღებული პასუხისმგებლობა, არის უდიდესი პატივი. „ქართული ოცნება" არის ძალა, რომელიც გააგრძელებს იმ გზას რასაც ემსახურებოდა. ამ ხელისუფლების მმართველობის პერიოდში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის წყალობით, სამედიცინო მომსახურება ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი გახდა. ამდენი ინფრასტრუქტურული პროექტები, რაც ბოლო რვა წელიწადში გაკეთდა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არ გაკეთებულა. ესაა პირველი ხელისუფლება, რომელმაც ომის გარეშე ატარა ჩვენი ქვეყანა და მშვიდობიანი თანაცხოვრების პირობები შექმნა ჩვენს ქვეყანაში. ამუშავდა უამრავი მცირე და საშუალო ზომის საწარმოები. შეიქმნა უამრავი სახელმწიფო პროგრამა, მეწარმეობის, სოფლის მეურნეობისა და ზოგადად ეკონომიკის გასაჯანსაღებლად, რამაც ჩვენი თანამოქალაქეების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს.

— **თქვენს მშობლიურ რაიონში — სამტრედიაში და არა მარტო სამტრედიაში, მაჟორიტარ დეპუტატად „ქართული ოცნებიდან" დასახელებულია ყველასათვის საყვარელი პიროვნება, სიკეთითა და პატიოსნებით გამორჩეული, ბატონი გივი ჭიჭინაძე, რომელმაც უკვე პოლიტიკაშიც გადადგა მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაბიჯები, როგორც იმერეთის გუბერნატორმა. რას იტყვით მის შესახებ?**

— ბატონი გივი, უპირველეს ყოვლისა, არის სამაგალითო ქართველი, დამსახურებული მოღვაწე, უკეთილშობილესი ადამიანი



სამაგალითო ოჯახით. ბატონი გივი სარგებლობს უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით მთელ საქართველოში. 31 ოქტომბერს არჩევნებში ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ".

**P.S.** ვუსურვოთ ბატონ იმედა ნიკურაძეს და მის პოლიტიკურ გუნდს — „ქართულ ოცნებას" გამარჯვება საქართველოს წარმატებისთვის და ძლიერებისთვის!

**ნატო ივანიაძე**
593 56 48 28
სამტრედია
®



# საქართველოს პარლამენტში მხოლოდ ღირსეული ადამიანები უნდა შევიდნენ



საქართველოს პარლამენტში მხოლოდ ღირსეული ადამიანები უნდა შევიდნენ.

ვფიქრობ, ეს მოთხოვნა საქართველოს მოსახლეობს 90–95%-ის სურვილია, რადგან პარლამენტი და პარლამენტარი არის ჩვენი ქვეყნის ისტორიის, კულტურის, კანონიერების, ინტელექტის, მორალისა და შემოქმედებითი ყოფიერების წარმოსახვისა და მმართვის სამყარო და ეს სამყარო მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა პატრიოტულ და მორალურ ზეობას უნდა ემყარებოდეს.

სტუდენტობის ახლო მეგობარმა დამირეკა და მთხოვა, კანდიდატურა დააყენა მმართველმა პარტიამ ხაშური-ქარელის საარჩევნო მაჟორიტარულ ოლქში და იქნებ შეხვდე, შენ ცხოვრებისეული დიდი გამოცდილება გაქვს და შენი შეხედულება მაინტერესებსო. ახლო მეგობარს უარი ვერ ვუთხარი, მოვიძიე ამ კაცის ბიოგრაფიული მონაცემები და ჩემივე ინიციატივით შევხვდი მას. **იგი გახლავთ ზაალ (ზაზა) დიმიტრის ძე დუგლაძე, დაბადებული 1971 წელს ხაშურში, დიმიტრი დუგლაძისა და მანანა ჩოჩიშვილი-დუგლაძის მრავალშვილიან ოჯახში.**

**დაამთავრა თბილისის აგრარული უნივერსიტეტი, ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით. 1996 წელს მუშაობა დაიწყო სს „ვაზიანში“ ტექნოლოგად. 2000 წლიდან 2011 წლამდე ეკავა წარმოების უფროსის თანამდებობა. 2004 წელს დააარსა შპს „დუგლაძეების ღვინის კომპანია“ და 2012 წლიდან დღემდე მისი გენერალური დირექტორია. სიჭაბუკისა და სტუდენტობის პერიოდში მისდევდა სპორტს, დაკავებული იყო ჭიდაობით და სათხილამურო სპორტით. არის მრავალი ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი. ჰყავს მეუღლე, ეკატერინე კოტარია-დუგლაძე და ორი ქალიშვილი: მარიამი (ლონდონის უნივერსიტეტის სტუდენტი) და ელისაბედი (მე-11 კლასის მოსწავლე). არის მართლმადიდებელი ქრისტიანი, ჰყავს მოძღვარი – ზარზმის ეკლესიის წინამღვარი მამა ნიკოლოზი.**

**29 წლის იყო ზაზა, როცა მოუწესრიგებელმა და ვერაგმა დრომ ტრაგიკულად გამოაცალა ხელიდან მამა — დიმიტრი დუგლაძე — შესანიშნავი პიროვნება, წარმატებული ბიზნესმენი.**

ჩვენი შეხვედრა დათქმულ დროს შედგა და 3 საათი გაგრძელდა. პირველ რიგში, გავეცანი დეპუტატობის კანდიდატის საარჩევნო პროგრამას, რომელშიც ამ ერთი ღირსეული კაცის მართლაც მეცნიერულ და რეალურ პრაქტიკულ დონეზეა წარმოდგენილი გეგმა. ბატონ ზაზას ყველაზე მეტად ყურადღება გამახვილებული აქვს წარმოების განვითარებასა და ხალხის დასაქმებაზე. პროგრამა დასაბუთებულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში ბოლო 8 წლის განმავლობაში განხორციელებული დადებითი ძვრებით და გაჯერებულია რეალური ციფრობრივი მონაცემებით, რომელიც განხორციელდა მმართველი პარტიის მიერ.

პარლამენტის წევრობის კანდიდატი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა ხაშურისა და ქარელის ამომრჩევლებს და სთავაზობს ამ მუნიციპალიტეტების შესაძლებლობებიდან გამომდინარე სამომავლო გეგმებსა და თანადგომას. დასახული გეგმების განხორციელება ჯერ ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში სურს. ხოლო აქ მიღებული ეფექტი საქვეყნოდ სწადია განავრცოს საერთაშორისო არენაზე.

**ზაზა დუგლაძე:** „ვაჟა ბატონო, გეგმები მართლაც კარგი მაქვს და იგი შეჯერებულია მმართველი პარტიის ხელმძღვანელობასთან, მაგრამ უფლის გარეშე არაფერი ხდება, უფალი რომ დაინახავს ჩემს გულწრფელ სურვილს, მცდელობას, ამომრჩევლებთან დგომასა და ორმხრივ პატივისცემას, იგი აუცილებლად გვიწყალობებს. დიდი იმედი მაქვს ჩვენი პარტიის ლიდერისა და დიდი ქველმოქმედის ბატონ ბიძინა ივანიშვილის დახმარების. მე ხაშურისა და ქარელის მცხოვრებთა კეთილდღეობა მწადია. ოჯახი დამაკმაყოფილებლად მაქვს მოწყობილი, მაგრამ კარგად მცხოვრები ჩემი შვილები სხვათა შვილების გაჭირვებული ცხოვრების პარალელურად ვერ იქნებიან ბედნიერნი. ჩვენ და მთელმა ერმა ჩვენს შვილებს რწმენით აღსავსე და ნათელი გზა უნდა შევუქმნათ. **ერის ისტორიული წინსვლა ხდება მხოლოდ მაშინ, როცა იცი, ვინ ხარ, საიდან მოდიხარ და საით მიდიხარ. თუ ეს არ იცი, მაშინ ეს სვლა კი არა, ხეტიალია მხოლოდ დროსა და სივრცეში. ყველა განსწავლული ერი ყოველთვის ცდილობს ფაქიზად მოუაროს ყველა იმ ხილულ და უხილავ ძაფს, რომელიც აკავშირებს წარსულს არათუ აწმყოსთან, არამედ მომავალთანაც. წარსულისა და მომავლის უწყვეტობა არის ის დიდი მიზანი, რომელსაც ემსახურება ჩვენი კულტურაც.** ჩვენს შვილებს უნდა ავუხსნათ, რომ ქართული ისტორიული შედევრები და წმინდანად შერაცხულ ქართველთა ძვლებითაა მოფენილი ევროპა და აზია. მათ უნდა იცოდნენ, რომ დედამიწის ზურგზე პირველი ქრისტიანული ეკლესია (საყდარი) საქართველოში (სოფ. დიდ აჭარაში) ააგო ანდრია პირველწოდებულმა. ამიტომ ვართ ქართველები უფლის რწმენით აღსავსენი.

მრავალგზის უნდა გავაჟღეროთ, რომ ყურძნისა და ღვინის სამშობლო საქართველოა. ამას მოწმობს საქართველოში აღმოჩენილი ყურძნის წიპწიპები, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მე-8 ათასწლეულს განეკუთვნება. ვფიქრობ, იგივე ასაკისაა ქართული ხორბალიც. ჩემი აზრით, ქართული სუფრა იყო კრების, საბჭოსა და პარლამენტის შექმნის საფუძველი.

ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენი შვილები უცხოეთში შედგენილ უნარ-ჩვევებს კი არ უნდა სწავლობდნენ, პირიქით, მსოფლიოს ბავშვები ქართველი ერის ისტორიას, უნარსა და შესაძლებლობებს უნდა სწავლობდნენ და თავად ისინი გამოიმუშავებენ საკუთარ უნარჩვევებს. ასე რომ, წარმოებისა და დასაქმების პარალელურად უნდა მივხედოთ ახალგაზრდობას, ჩვენი ნათელი მომავლის შემოქმედს. რაც შეეხება საქართველოს მომავალს, იგი სამ ძირითად დედაბოძზე უნდა დავაფუძნოთ: ეროვნული სულიერების, სამართლებრივისა და ეკონომიკურის.

„ქვეყანა, რომელიც არ ეფუძნება სამართლის დედაბოძს, მას განვითარების პერსპექტივა არა აქვს“. — ბრძანებდა ციცერონი. ეს დედა-ბოძებიც ასაგები გვაქვს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ ადამიანთა ზნეობრიობაზე. ალბათ, მკითხავთ, როგორ პარლამენტში მსურს მოღვაწეობა? — გიპასუხებთ: იმ პარლამენტში, რომელშიც ღირსეული მამულიშვილები იმოღვაწებენ. თუ ჩვენ ერთმანეთს არ გავუფრთხილდით, ჩვენ თუ ერთმანეთის განსხვავებული აზრის ატანის კულტურას არ მივეჩვიეთ, რომელიც გულისხმობს მწვავე კამათს, მაგრამ ერთმანეთის პატივისცემას, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივალთ იქ, სადაც მისვლა გვწადია“.

შეხვედრის დასასრულს ვკითხე: ბატონო ზაზა, თქვენი ამომრჩევლებისგან რამდენ ხმას ელით? მითხრა: **„ადამიანის ხმა მისივე სულის ღირსებაა.**

**ამ სულს უნდა გავუფრთხილდეთ და დავიცვათ განსაცდელებისგან. ჩემი ცოდნით, ღირსებით, გამოცდილებით და დიდი გეგმებით დავდექი ამომრჩევლების წინ და ახლა თავად აირჩიონ და განსაჯონ: მე თუ სხვა“.**

დავრწმუნდი, რომ ჩემს წინ სიტყვისა და საქმის კაცი იჯდა, ფრიად განათლებული, გამოცდილი, დინჯი და მომავლის დიდი რწმენით აღსავსე.

ზაზა დუგლაძე ის კაცია, რომელსაც სიკეთე და ბედნიერება არა მხოლოდ საკუთარი ოჯახისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის და ყველა ქართველისთვის სწადია.

**ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებო ბერიძეებო და ერზე გულშემატკივარო ამომრჩევლებო, მენდეთ და არ შეცდებით, საქართველოს პარლამენტისაკენ ჭეშმარიტი მამულიშვილი მიაბიჯებს. ღმერთმა დალოცოს და თქვენი თანადგომა უწყალობოს.**

**ვაჟა ბერიძე**
**საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი (31000 კაცი) გვარის – ბერიძეთა საგვარეულო დარბაზის ეთნარქი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი**
599 33 53 60

## „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ზაზა დუგლაძის სიტყვა ხაშური-ქარელის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრისას

„ქარელის რაიონის ეს ლამაზი ხეობა, სავსეა ეკლესია-მონასტრებით, ჩვენი ქვეყნის საინტერესო ისტორიით, წარსულის დიდებით. XVI – XVII საუკუნეში ფანასკერტელ-ციციშვილებმა რეზიდენცია აქ გადმოიტანეს, რომელიც შემდეგ დიდ პოლიტიკურ ცენტრად აქციეს. დღეს ჩვენთან ერთად ვხედავ ეკლესიის მსახურებს. მე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მეუფე იობს, ჩვენი დაფასებისთვის. სწორედ აქ, დავით აღმაშენებელმა პირველი საეკლესიო კრება მოიწვია. ამ შეხვედრამ დაუდო საფუძველი საქართველოს აღორძინებას, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური ძლიერების საწინდარი გახდა. დღეს მე ვდგავარ აქ, როგორც ქარელის მუნიციპალოტეტის მაჟორიტარობის კანდიდატი. კარგად ვიცნობ შიდა ქართლის ამ უმშვენიერეს კუთხეს, რადგან მე ხაშურში დავიბადე და გავიზარდე, კარგად ვიცი ამ რეგიონის ყველა სასიკეთო საქმე, რომელიც გაკეთდა და რომელიც უნდა გაკეთდეს. გამარჯვების შემთხვევაში თქვენს ხმას მივიტან უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. ილია ჭავჭავაძემ ბრძანა - “ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი.” სწორედ ეს დიდი ტვირთია, რომელიც მინდა თქვენთან ერთად ვიტვირთო და ვაკეთო მრავალი სასიკეთო საქმე.

მე მივიღებ აქტიურ მონაწილეობას მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებაში - კულტურის, სპორტის, ტურიზმის, განათლებისა და ჯანდაცვის პროექტების განხორციელებაში. ვიქნები ქარელის მუნიციპალიტეტში პროფესიული სასწავლებლების გახსნის ინიციატორი, დღეს ხომ ეს ძალიან სჭირდებათ ჩვენს ახალგაზრდებს. ასევე პროფესიული გადამზადების კურსების გახსნის მოზრდილთათვის, რომ ადგილზე იყვნენ კვალიფიციური კადრები და ჰქონდეთ დასაქმების საშუალება. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ქარელის რაიონში გაგრძელდეს ოპტიკური ინტერნეტის ინფრასტრუქტურული პროექტი, გაიზარდოს ინტერნეტის ხელმისაწვდომობა. ვიქნები “სოფლის მხარდამჭერი პროგრამის” გაგრძელების მომხრე და მხარდამჭერი. დღეს ძლიერი სოფელი და სოფლის მეურნეობაა ჩვენი მოსახლეობის და ქვეყნის სიძლიერე, ამიტომაც ვიქნები თქვენთან ერთად, რომ მოხდეს ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი და საკონსერვო წარმოების აღდგენა, რისი საშუალებითაც სოფლად შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

მზად ვარ თითოეულ ამომრჩეველთან შესახვედრად და სასაუბროდ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ერთად შევძლებთ ყველა პრობლემის დაძლევას - ჩვენი სოფლების, რაიონის და ადამიანების სატკივარის გაზიარებას და კეთილი საქმეების გაკეთებას“.

®



# ღია დივერსია ღია ეთერში ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ



**მივმართავთ ხელისუფლებას: დროზე დაიჭირეთ ეს ორი არამზადა, რომლებიც ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ანტისახელმწიფოებრივ, დივერსიულ საქმიანობას ეწევიან!**

— გვარამია, შე ცრუპენტელა აფერისტო, რას ბოდავ, რას მიედმოედები, რას როშავ, შენი სისულელეების „გამპრავებელ“ „პირად ნოტარიუსთან“ ელისტრახოსთან ერთად?

ეს რა იდიოტობები ილაპარაკეთ, რეები მოჩმახეთ, რა სიბრიყვეები დაახეთქეთ კვირა ღამეს, შენ და „შენმა ნოტარიუსმა“ ჭკუიდან გადასულ ელდარ გოგოლაძესთან „ისტორიული“ ინტერვიუს შემდეგ?

გვარამია-კილაძის მტკიცებით, შსს-ს თურმე ბანკის ნამდვილი მძარცველის ნაცვლად ვინმე ბეჟან გვაზავა უნდა დაეჭირა. გვაზავა ზვიადისტი ყოფილა, ამიტომ საზღვარგარეთიდან სპეციალურად ჩამოუყვანიათ ზვიად გამსახურდიას შვილი გიორგი გამსახურდია, რომელსაც გვაზავა უნდა დაეყოლიებინა, რომ თავის თავზე აეღო დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია.

გვარამია-კილაძის ვერსიით, თუ ამას მიაღწევდნენ, მერე გვაზავას, როგორც არასასურველ მოწმეს, მოკლავდნენ, საქმეს გახსნილად გამოაცხადებდნენ და ეს დრამატული ისტორიაც ამით ჩაიფარცხებოდა.

მაგრამ რისთვის არსებობს ორი ქართველი შერლოკ ჰოლმსი, ნიკუტა და „ელისტრახო“, რომლებმაც, სანამ რამე მოხდება, მანამდე იციან ყველაფერი და წინსწრებით „ხსნიან“ ნებისმიერ ჩახლართულ საქმეს.

ჰოდა, გაუგიათ გვარამია-კილაძეს ხელისუფლების ამ ვერაგული და მზაკვრული ჩანაფიქრის შესახებ და სათანადო სტრუქტურები გაუფრთხილებიათ — ვიცით ყველაფერი, რის გაკეთებასაც აპირებთ. სასწრაფოდ აიღეთ ხელი ამ ბოროტ განზრახვაზე, თორემ სახალხოდ გამხელთ. დაგავიწყდათ თქვენ, რომ არსებობს მძარცველის თვალების ფოტო, რომლითაც ადვილად შეიძლება ადამიანის იდენტიფიცირება? თვალები უფრო უტყუარი მტკიცებულებაა, ვიდრე თითის ანაბეჭდები. ასე რომ, არ გაბედოთ ნამდვილი დამნაშავის ნაცვლად სხვა პიროვნების შემოსაღება, თორემ ცუდად წაგივათ საქმეო.

გვარამია-კილაძის თქმით, ხელისუფლებაში მაგრად დამფრთხალან — ამ გვაზავას რამე რომ ვუქნათ, გვარამია-კილაძე ეგრევე გაგვშიფრავს თვალების საშუალებით და დავიღუპებით. მოდი, გვაზავას თავი დავანებოთ და მეორე რომ გვყავს კიდევ „ზაპასში“, ქარჩავა, მაგაზე ვიჩალიჩოთო, მაგრამ „მთავარისა“ და გვარამია-კილაძის შიშით მალე ამ ვარიანტზეც უარი თქვეს და გადაწყვიტეს ბოლოს და ბოლოს ის ტიპი დაეჭირათ, რომელიც მართლა შეიჭრა საქართველოს ბანკის ფილიალში და მძევლები აიყვანა.



გვარამია-კილაძის ინფორმაციით, ეს ტიპი იყო ვინმე ბადრი ესებუა.

— ამ ადამიანის ვინაობას იმიტომ მალავდნენ, რომ ბადრი ესებუა არის სენაკის მე-2 ბატალიონის სამხედრო მოსამსახურე და ამ ფაქტის გამომჟღავნება ნიშნავდა ქართული ჯარის სრულ ჩამოშლას. მას ჰყავდა თანამზრახველი — დავით ხვიბლიანი, ისიც სენაკის მე-2 ბატალიონში მსახურობს. ეს ხვიბლიანი ვითომ შემთხვევით მოხვდა ბანკში ზუსტად იმ დროს, როცა ესებუა ბანკში შეიჭრა და სხვებთან ერთად ხვიბლიანიც ვითომ მძევლად აიყვანა.

აი, ამას მალავს ხელისუფლება — სამხედრო პირებმა ბანკი გაძარცვეს! როგორი კატასტროფაა! როგორი დაცემაა, წარმოგიდგენიათ? — ჟღურტულებდა გვარამია და მისი „ოქროსნისკარტა ბულბული“ ელისტრახოც კვერს უკრავდა.

**გვარამიამ და კილაძემ ვითომ არ იციან, რომ ქართული ჯარი არასოდეს ყოფილა ისეთი ძლიერი, მობილიზებული, ტექნიკურად შესანიშნავად აღჭურვილი, როგორც დღეს, ირაკლი ღარიბაშვილის მინისტრობისას არის.**

**კითხონ ნებისმიერ ჯარისკაცს, ნებისმიერ სამხედრო მოსამსახურეს, როგორი მინისტრია ირაკლი ღარიბაშვილი და მათი უმრავლესობა უყოყმანოდ გიპასუხებს, რომ ირაკლი ღარიბაშვილზე უკეთესი მინისტრი თავდაცვის სამინისტროს არ ჰყოლია!**




გვარამიავ და კილაძევ, თქვე ცრუპენელებო, თქვე პროფესიონალო ფალსიფიკატორებო და სულგაყიდულო მათხოვრებო, რატომ ცრუობთ, რატომ ტყუით და თქვენს მიერ მოგონილ ტყუილებზე დაყრდნობით რატომ აკეთებთ ისეთ დასკვნებს, რომლებიც უკიდურესად აზიანებს ქვეყანას?

საქმე ის არის, რომ ბადრი ესებუა, რომელსაც „მთავარი“ სენაკის მე-2 ბატალიონის თანამშრომლად ასაღებს, ყოფილი სამხედრო მოსამსახურე კი არის, მაგრამ ის დიდი ხანია ქართული ჯარის რიგებში არ ირიცხება, როგორც ეს თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრმა განაცხადა.

ჩვენ ეს განცხადება გადავამოწმეთ ბადრი ესებუას თანაკლასელებთან, მეზობლებთან, ნაცნობებთან და უტყუარად დადგინდა, **რომ ესებუას წლებია არაფერი აკავშირებს ქართულ ჯართან.**

აი, ეს არის სიმართლე, რომლის დადგენა და დაზუსტება „მთავარისთვის“ იოლზე იოლი საქმე იყო, მაგრამ მან ეს არ გააკეთა, რადგან მას სიმართლე კი არა, ისეთი ტყუილი სჭირდებოდა, რომელიც ისეთი განცხადებების გაკეთების საშუალებას მისცემდა, როგორიც კვირას „მთავარის“ ეკრანიდან გაჟღერდა:

— ქართული სახელმწიფო არ არსებობს!

— ქართული სახელმწიფო ჩამოიშალა!

— თავდაცვის სამინისტროში ბანკის მძარცველები მსახურობენ!

— თავდაცვის მინისტრი უნდა გადადგეს!

— არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა არ მუშაობს!

— 31 ოქტომბერს ხელისუფლება უნდა შეიცვალოს!

აი, ეს მთავარი მიზანი ჰქონდა „მთავარს“, თორემ ვინ იყო სინამდვილეში მძარცველი ან მისი თანამოაზრეები სულ ცალ ფეხზე ეკიდა.

**არც გვარამიას, არც კილაძეს არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ წარმოუდგენიათ, ისე დაადეს ხელი ბადრი ესებუას და ბანკის მძარცველად გამოაცხადეს.**

ერთადერთი „საბუთი“, რაც გვარამიამ „მტკიცებულებად“ წარმოადგინა, ეს იყო მძარცველის თვალების ჭრილის და ესებუას თვალების ჭრილის შედარება, რომელსაც ბატონი ნიკუტა დამაჯერებელ კომენტარებს ურთავდა: ნახეთ, როგორ ჰგავს, ნახეთ, როგორ ჰგავსო.

**ნიკუტა, შე ტელეაფერისტო, რას ჰქვია ჰგავს — მძარცველს ცისფერი თვალები ჰქონდა, ესებუას მაყვალივით შავი თვალები აქვს.**

„არაჩვეულებრივი გამოფენა“ ხომ გახსოვთ, მოქანდაკე აგული ჭირისუფლებს რომ უმტკიცებს: ცხვირი ხომ ჰგავს, ბატონო? — ჰგავს! ტუჩ-ნიკაპი ხომ ჰგავს? — ჰგავს! თვალები ჰგავს? — ჰგავს! ესე იგი — ჰგავს!

— მაგი მაინც არ არის ჩემი სიდედრი! — ჩაიბურტყუნებს სიძე.

გვარამია აგულის როლში მოგვევლინა და თავისი ასისტენტკა „ელისტრახოს“ დახმარებით, საქართველოს დარწმუნებას ცდილობდა, რომ ეს ბადრი ის ბადრია, რომელმაც ბანკი გაძარცვა.

კი, მაგრამ რომ არ ჰგავს, შე თვალთმაქცო გვარამიავ?

არ ჰგავს და დაამსგავსებს, რა პრობლემაა — ცოტას სიმაღლეში გაზრდის, თვალის გუგებს ცისფრად შეუღებავს და წავიდააა.

გვარამია-კილაძემ ესებუას ხვიბლიანიც გადააბეს „ხელბორკილით“ და ისიც ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, მძარცველ-ტერორისტად გამოაცხადეს, რომელსაც თან აწამებენ, თან შიგადაშიგ ინტერვიუების მიცემას აიძულებენ თურმე.

გვარამიამ არც გიორგი გამსახურდია დაინდო და ისიც ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, უდანაშაულო ადამიანის ლიკვიდაციის მომზადებაში დაადანაშაულა.

გვარამიას კვერის დამკვრელებად სამი ბაიყუში, სააკაშვილის სამი მონა — სანიკიძე, გელბახიანი და ჭანკოტაძე ჰყავდა მოყვანილი.

— ქართული სახელმწიფო ჩამოიშალა! — იტყოდნენ გვარამია და კალაძე და ესენიც ამოაბოყინებდნენ: დიახ, ჩამოიშალა!

— ქართული სახელმწიფო არ არსებობს! — დაასკვნიდნენ გვარამია და კილაძე და ეს „შესანიშნავი“ სამეული კვლავ ამოაბოყინებდა: დიახ, არ არსებობს!

**მე ვეკითხები ხელისუფლებას: რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ეს უმსგავსობა და კიდევ რამდენ ხანს უნდა აფანტაზებდეს ეს ორი პროვოკატორი ქართულ სახელმწიფოს? კიდევ რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს მედიის ნიღაბს ამოფარებული ამ ორი არამზადის ანტისახელმწიფოებრივი, ძირგამომთხრელი, დივერსიული საქმიანობა? ბოდიშს ვიხდით გამოთქმისთვის და კიდევ რამდენ ხანს უნდა დაასაქმოს თავზე ქართულ სახელმწიფოს ხან გვარამიამ, ხან — კილაძემ, ხან ორივემ ერთად?**

მათი „მოღვაწეობა“ არანაირ ბმაში არ არის არც გამოხატვის თავისუფლებასთან, არც სიტყვის თავისუფლებასთან — ეს არის მიზანმიმართული დივერსია ქართული სახელმწიფოს დასასუსტებლად და დასაძაბუნებლად.

სანამ მართლა არ ჩამოშლიან ქართულ სახელმწიფოს გვარამიები და კილაძეები, ასე შორიდან უნდა ვუყუროთ და არაფერი არ უნდა მოვიმოქმედოთ?

დაიჭირეთ ეს ორი არამზადა და თან მიაყოლეთ ის „ჩიტები“ და „ჩიტუნიები“, რომლებიც ამათ ინფორმაციებს აწვდიან და რომლებიც, დიდი ალბათობით, სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობენ.

**ვახტანგ ხარჩილავა**

# ვისაც საქართველოდან ყარაბაღის ომში წასვლა სურს, წავიდეს, ოღონდ ავტომატურად დატოვოს საქართველოს მოქალაქეობა და უკან არ მობრუნდეს!


ვაჰაგან ჩახალიანი ყარაბაღის ომში

წლეულს 28–29 სექტემბერს სომეხი ეროვნების მოქალაქეებმა აქტიური მოქმედებები დაიწყეს, რათა გაერღვიათ საქართველო-სომხეთის საზღვარი და წასულიყვნენ ყარაბაღში აზერბაიჯანელების წინააღმდეგ საბრძოლველად. სომხები ინტერნესივრცეში და მედიაში გავრცელებულ ვიდეოსიუჟეტში პირდაპირ უცხადებდნენ ქართველ მესაზღვრეებს: ტურისტებად კი არ მივდივართ, ომში უნდა ჩავებათ აზერბაიჯანის წინააღმდეგ და დავეხმაროთ უსამართლოდ დაჩაგრულ ჩვენს ძმებს ყარაბაღშიო.

როგორც ცნობილი გახდა, სომეხი ბოევიკების რეგისტრაცია ხდებოდა ნინოწმინდასა და ახალქალაქში არა დამალულად, არამედ ღია ცის ქვეშ — ვლადიმერ და გაიოს გარსლიანების სახელობის სტადიონზე ნინოწმინდაში და ახალქალაქის ცენტრში — იქაც სტადიონის ტერიტორიაზე. ეს „სასიამოვნო“ სიახლე შემდეგ სიხარულით გააზიარეს სომხეთის საინფორმაციო საშუალებებმა. სომხური მედიასაშუალებებით ცხადი გახდა, რომ ისინი დიდ იმედებს ამყარებდნენ სამცხე-ჯავახეთიდან წამოსულ სომეხ მებრძოლებზე, საქართველოს ტერიტორიიდან, ჯავახეთიდან, სადღაც დღესდღეობით უფრო მეტი სომეხი ცხოვრობს, ვიდრე თვით ყარაბაღის რაიონში...

ამ სტატიის მიზანი, თავისთავად ცხადია, არ გახლავთ ეროვნული ან ეთნიკური შუღლის ან ღვარძლის გაღვივება. მე ვცდილობ დავხატო სურათი, როგორც ილუსტრაცია, რა ხდება და რა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუკი სახელმწიფო და შესაბამისი უწყებები არ მოახდენენ დროულ და კანონით გათვალისწინებულ რეაგირებებს მსგავს ფაქტებზე.

ფაქტი კი დღესდღეობით ასეთია: სომხური ნაციონალიზმი სამცხე-ჯავახეთს განიხილავს, როგორც „ძირძველ სომხურ „მიწას“ და მას „ჯავახკს“ უწოდებს.


Karen Ohanjanyan
19m ·

Считаю, что настало время, чтобы армянский Джавахк встал на ноги и провозгласил бы свою независимость от Грузии, взял бы под контроль железнодорожные линии и трубопроводы, проложенные по его территории в качестве ответа на недружественные действия Грузии в отношении Армении в период агрессии Азербайджана. То же самое должны сделать национальные меньшинства Азербайджана: режим Алиева в конечном итоге уничтожит вашу самоидентичность. Все армяне мира должны начать полномасштабное уничтожение всего имущества Турции и Азербайджана во всем мире! Это будет вашим ответом на геноцид и на сегодняшнюю агрессию. Армяне, вовлечённые в бизнес-отношения с турками или азерами, должны немедленно прекратить подобные отношения. Работайте в направлении ослабления экономики этой чудовищной страны - рассадницы террора на Ближнем Востоке и в Передней Азии.

წლევანდელი წლის 28–29 სექტემბრის მოვლენები ისე განვითარდა, რომ, თავისთავად ცხადია, ქართულმა მხარემ სომეხი მოხალისეები საბრძოლველად არ გაატარა სტრატეგიული მეგობარი და მეზობელი აზერბაიჯანის წინააღმდეგ წარმოებულ ომში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სომეხი მოხალისე მებრძოლების საომარი აღტყინება ამით ჩაცხრა. საჭიროების და ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში, ისინი შეეცდებიან თავიანთ სისხლისმიერ ძმებს — სომხებს უკომპრომისო ომში აზერბაიჯანთან ყველანაირი გზით და ხერხით დაეხმარონ და იპოვონ გზები ყარაბაღში გადასასვლელად.

საქართველოდან უკვე არიან წასული სომეხი მებრძოლები ყარაბაღის ომში.

უბრალო მსჯელობას რომ მივყვეთ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აზერბაიჯანი გაიმარჯვებს ამ ომში თუ სომხეთი, მნიშვნელობა არ აქვს, საქართველოდან წასული ბოევიკები ხომ უკან, თავიანთ სახლებში დაბრუნდებიან, მერე კი ომის შედეგების მიუხედავად, საქართველოს წინააღმდეგ იქნებიან განწყობილი, ოღონდ ამჯერად, ომიდან დაბრუნებულნი, ომგამოვლილნი და შეიარაღებულნი, რაც, ყველაზე უარესი სცენარი რომ წარმოვიდგინოთ, იმ საშინელებების გაგრძელება შეიძლება იყოს, რაც მოხდა აფხაზეთში ბაგრამიანის ბატალიონის მიერ და რაც ხდება დღეს: როგორც დასტურდება, აფხაზეთში, სოხუმში, ამჟამად აფხაზზე მეტი სომეხი ეროვნების რუსეთის მოქალაქე ცხოვრობს.

ახლახან სოციალურ ქსელში გამოჩნდა ვინმე კარენ ოვანესიანის მოწოდება, სადაც ნათლად არის წარმოდგენილი სომხური სეპარატისტული აჯანყების გეგმა სამცხე-ჯავახეთში. ის გულისხმობს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სატრანზიტო გზების სომეხი ექსტრემისტების კონტროლქვეშ მოქცევას.

ამ საშიშროების შესაძლებლობას გვიმტკიცებს ის ფაქტიც, რომ, როგორც ცნობილია, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებობს საიდუმლო მიწისქვეშა იარაღის საწყობები რუსული ბაზების იქ ყოფნის პერიოდიდან. ეს შესანიშნავად იციან იქ მყოფმა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ განწყობილმა ცალკეულმა ჯგუფებმა, რომელთა შორის, ცხადია, სამცხე-ჯავახეთის მთელ მოსახლეობას არ მოვიაზრებთ. ჩვენ სეპარატისტებზე და მოღალატეებზე ვსაუბრობთ, როგორებიც საქართველოს სომხურ მოსახლეობაში კი არა ქართული ეროვნების მოქალაქეებშიც მრავლად არიან, ჩვენდა სამწუხაროდ. მოკლედ, სურათი სავალალოა და შედეგები ჩვენი სახელმწიფოსთვის არცთუ სახარბიელო შეიძლება აღმოჩნდეს. ეს თუნდაც ვინმე კარენ ოვანესიანის ფეისბუკ-პოსტიდანაც ცხადი ხდება. იგი წერს: იქ, სადაც თურქული და აზერბაიჯანული ინვესტიციები არსებობს, იმ ობიექტების წინააღმდეგ, შესაძლებელია, მოხდეს ტერაქტები და დივერსიებიო.


Баграмян 26

❗ 8 тысяч джавахкских армян из Грузии готовы добровольцами отправиться в Нагорный Карабах. Для этого просто надо на время открыть гоузино-армянскую границу.

სომეხი სეპარატისტების ერთ-ერთი წარმომადგენელი, ქართული საზოგადოებისთვის ცნობილი ვაჰაგან ჩახალიანი, რომელიც დაპატიმრებული იყო სეპარატისტული საქმიანობის გამო და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისთვის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის და მასობრივი ღონისძიებების ორგანიზებისთვის, დღეს თავისუფალია. ის მასშტაბური პოლიტიკური ამნისტიის ტალღას გამოჰყვა ქართული საპატიმროდან.

2017 წელს ვაჰაგან ჩახალიანმა ულტიმატუმი წაუყენა საქართველოს ხელისუფლებას: „ჩვენ მოგიწოდებთ: საქართველომ არ უნდა დაიცვას აზერბაიჯანის და თურქეთის ხელმძღვანელობა, ჩაგვბარდეს კუმურდოს ტაძარი და 465 ე.წ. ქართული ეკლესია აღიარეთ სომხური კულტურის ძეგლებად, თორემ ჯავახეთის სომხების მწვავე უკმაყოფილებას მიიღებთო“.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვიცით, რა გზებით და საშუალებებით მოახერხეს ვაჰაგან ჩახალიანმა და სხვა სომეხმა ბოევიკებმა ყარაბაღში გადასვლა, მაგრამ ფაქტი ერთია — ისინი უკვე იბრძვიან ამ ომში. ვაჰაგან ჩახალიანმა ახლახან ფეისბუკის საკუთარ გვერდზე გაავრცელა ფოტოები, სადაც ადასტურებს, რომ ის ჯავახეთის სხვა მეომრებთან ერთად ოკუპირებულ ყარაბაღში იმყოფება.

ახლახან გავრცელდა დაუზუსტებელი ინფორმაცია, რომ, თითქოსდა, ჩახალიანი იქ ომში მოკლეს, რაც, ჩვენი აზრით, სიმართლეს არ შეესაბამება.

„დავბრუნდებით და ბრძოლა ეროვნული ღირებულებებისთვის კიდევ უფრო დიდი იქნება“, — წერდა ახლახან თავის ფეისბუკგვერდზე ჩახალიანი.

რას ნიშნავს ეს?

ყველაზე ცუდი „სიზმარი“ სოხუმში უკვე ნანახი გვაქვს.

რას უნდა ველოდეთ მომავალში, თუკი სეპარატისტულ გამოვლინებებს კანონის ფარგლებში არ მოვაქცევთ?! შედეგები ყველასთვის ნათელი იქნება თუნდაც ამ წერილში მოცემული მცირე რაოდენობის მაგალითების საფუძველზე.

შექმნილი სიტუაციის ანალიზისთვის მივმართეთ პოლიტიკის ექსპერტს **სოსო მანჯავიძეს**.

**სოსო მანჯავიძე**: — „ჩვენ ჩვენი ტერიტორიული პრობლემები გვაქვს და არ გვსურს ახალ საომარ ესკალაციაში ჩაბმა. სხვათა შორის, სომხეთის სახელმწიფო მუდმივად ჩვენს საწინააღმდეგო რეზოლუციებს აწერს ხელს და ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის უარმყოფელებს ეთანხმება.

საქართველოს ხელისუფლება აბსოლუტურად სწორად მოიქცა, როცა დერეფანი გადაკეტა სამხედრო ტვირთებისთვის.

ვისაც საქართველოდან ყარბაღის ომში წასვლა სურს წავიდეს, ოღონდ ავტომატურად დატოვოს საქართველოს მოქალაქეობა და უკან არ მობრუნდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გაექცევა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

სომეხ სეპარატისტებს ვურჩევ: დაანებონ თავი ცრუ სომეხი ისტორიკოსების ლეგენდების ჰეროიზაციას. იცხოვრონ ნორმალურად იმ ქვეყანაში, სადაც ცხოვრობენ.

რა „ჯავახკი“ და რის ავტონომია. ეს გამოიწვევს იმას, რომ ახალი უბედურება მოხდება და შედეგი მათთვის იქნება ნული.

სომხები ახლა უნდა ცდილობდნენ, დაათბონ ურთიერთობები მეზობლებთან და ბრიყვი ბლოგერების ჭკუაზე არ იარონ.

დღეს უფრო მძიმეა სიტუაცია მათთვის, ვიდრე ჰგონიათ.

მათდა სამწუხაროდ, ისინი აჰყვნენ ფუჭ იმედებს და ამას შეეწირა უამრავი მშვიდობიანი მოქალაქე.

ეს ჩვენ უკვე გამოვიარეთ და თუ გონიერები არიან, უნდა ესწავლათ ჩვენს მაგალითზე.

80 მილიონიანი თურქეთი და 10 მილიონიანი აზერბაიჯანი სრულად გაანადგურებს სომხეთს, რომელიც იზოლირებულია რეგიონში 2 მლ-იანი მოსახლეობით.

სომხები რუსეთის იმედით და არაადექვატური წარმოდგენებით იწყებდნენ პროვოკაციებს, ამას დამატებული სამცხე-ჯავახეთის არეულობა, ანუ ჩვენთანაც იფუჭებენ საქმეს — მაქსიმალურად ცდილობენ დააზიანონ ჩვენი ინტერესები, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა და ა.შ. ყველასთან გაფუჭებული აქვთ ურთიერთობა და ბოლოს რუსეთთანაც დაკარგეს ნდობა, როცა მოახდინეს ის ე.წ. „ფერადი რევოლუცია“. რას ელოდებოდნენ ამ რევოლუციით — წარმოუდგენელია, სრული აბსურდი და გაუგებრობაა ეს. გამოუცდელი, ახალგაზრდა სომეხი ბიჭები ეწირებიან მათი მთავრობის უპასუხისმგებლობას და უაზრო ავანტურას. ჯობს რეალობა გაითვალისწინონ“.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

სამწუხაროა, რომ ჩვენი მოსახლეობის მენტალობა არ იცვლება. ვიღაცებს დღემდე სჯერათ ავადმყოფი, მშიშარა, ჯალათი და უსულგულო „ნაცმოძრაობის“ დღევანდელი ლიდერის გულწრფელობის და კაცთმოყვარების. ამის გულსაკლავი დასტური იყო ახლახან საბერძნეთის შრომითი ემიგრანტების — ეგზალტაციაში ჩავარდნილი ქალების გულყრები სააკაშვილის დორბლიანი თავ-პირის დანახვაზე.

სინამდვილე კი მწარე, მკაცრი და რეალურია.

სააკაშვილის მონაწილეობის და თანხმობის გარეშე მისი გარემოცვა ვერ ჩაიდენდა იმ დანაშაულებრივ ქმედებებს, რაც განხორციელდა საქართველოში 2003 წლიდან 2012 წლამდე.

ახლა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩატარებული „სპეცოპერაციები“ 2004-12 წლებში. შემზარავი და შემაძრწუნებელია ეს ყველაფერი...

2004 წლის 8 მარტს **ქუთაისში ჩაატარეს სპეცოპერაცია,** რომელსაც ფეხმძიმე ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა. სროლების შედეგად ორი პოლიციელი გარდაიცვალა.

პანკისის ხეობის სოფელ დუისში **ავთანდილ და ვახტანგ გუმაშვილების** დასაკავებლად სამართალდამცავებმა სპეცოპერაცია ხალხმრავალ ადგილას, შუა სოფელში ჩაატარეს. სახლს, რომელსაც ეჭვმიტანილები აფარებდნენ თავს, ცეცხლი წაუკიდეს. ავთანდილ გუმაშვილი ალმოდებულ სახლში გამოწვეს, **23 წლის ვახო გუმაშვილი** კი სპეცდანიშნულების რაზმმა ჩაცხრილა. ადგილობრივებმა ეს სისასტიკე გააპროტესტეს, რის შედეგადაც „სამართალდამცველებმა“ დაჭრეს ოთხი ადამიანი, რომელთაც სპეცოპერაციასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ.

„ნაცმოძრაობის“ სისხლიანი რეჟიმის კიდევ ერთი ლაქა კოდორის ხეობაში სოფელ ეცერში ჩატარებული სპეცოპერაციაა. ხელისუფლების წარმომადგენლები მაშინ ამ სპეცოპერაციას წარმატებულს უწოდებდნენ, იმის მიუხედავად, რომ კრიმინალების ლიკვიდაციისთვის ამ დაუნდობელ სპეცოპერაციას სრულიად უდანაშაულო 55 წლის **რუსუდან გუგუსიანი** ემსხვერპლა. იგი ძალოვანის მიერ ნასროლმა ყუმბარამ მოკლა.

ამ სპეცოპერაციის დროს **აფრასიძეების** სახლი მთლიანად გადაწვეს. მათ შორის, **ომეხ აფრასიძეს**, თურმე, იმდენი ტყვია დაახალეს, მიწიდან მისი დაფლეთილი სხეულის ნაწილები აკრიფეს. მასიურ დაბომბვას სასწაულებრივად გადაურჩნენ აფრასიძეების სახლში მყოფი მცირეწლოვანი ბავშვები, მათი დედა ამ ამბის შემყურე ფსიქიურად შეირყა, ღია ცის ქვეშ დარჩნენ უსასტიკესად მოკლული ქმრისა და შვილის პატრონი მოხუცი ქალი ოთხი ბავშვით.

ასე „დაგვირგვინდა“ ეცერის ე.წ. „სპეცოპერაცია“.

2009 წლის 4 მაისს წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში სამართალდამცველებს სამიზნე შეეშალათ და 23 წლის **ჯიმი მეგრელიძე** მოკლეს.

2006 წლის 3 ივნისს მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერში სპეცოპერაცია **გოჩა ცინდელიანის** დასაკავებლად დაიგეგმა. „სამართალდამცველებმა“ შეცდომით მაშინ **გოჩა ცინდელიანის** ძმა **გელა ცინდელიანი** მოკლეს.

სპეცოპერაცია ერქვა 2004 წელს წერეთლის გამზირზე, სამართალდამცავების მიერ განხორციელებულ მკვლელობას. მაშინ პატრულის მიერ გასროლილი ტყვიით გარდაიცვალა 19 **წლის ამირან რობაქიძე**.

მეორე დღეს შსს-ს პრესსამსახურმა საზოგადოებას ამცნო, რომ რობაქიძეს სამართალდამცავებმა ბანდიტების ჯგუფის დაკავებისას ესროლეს.

2006 წელს, 2 მაისს, კორტების სპეცოპერაციისას მოკლეს **ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი**. 22 წლის **ზურაბ ვაზაგაშვილის** დედამ შვილის ქუჩაში ჩაცხრილვის შესახებ ტელევიზიით შეიტყო...

2006 წლის 28 იანვარს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ საერთაშორისო განყოფილების ხელმძღვანელი 28 წლის **სანდრო გირგვლიანი** მოკლეს. მკვლელობაში იმდროინდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნები მონაწილეობდნენ. ამ ტრაგიკულმა ამბავმა შს მინისტრის პოლიტიკის სრული კრახი წარმოაჩინა, ამასთანავე საქართველოს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და მთავრობის მიერ გატარებული ვითომ დემოკრატიული რეფორმებისადმი ილუზიები გააცამტვერა.

2006 წელს ნავთლუღის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული იქნა სპეცოპერაცია, რომლის დროსაც განსაკუთრებული სისასტიკით იქნა მოკლული **სამი აჭარელი ბიჭი**, რომლებიც, თითქოსდა, ციხის ბუნტს აპირებდნენ. ეს ახალგაზრდები, რომლებიც თბილისში საერთოდ პირველად იყვნენ, ავტოსადგურ ნავთლუღის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, როცა მათთან დავით (დათა)ახალაია ლევან ქარდავასთან, გიორგი მაზმიშვილთან და სპეცდანიშნულების რაზმის უფროს, დღეს რომ გმირად რაცხავენ ნაცები, იმ შალვა თათუხაშვილთან ერთად მივიდა. ეს ბიჭები — **მურად გორგაძე, რომან სურმანიძე და მარად ართმელაძე** უიარაღოები, დაჩოქილები, ხელბაწეულები დახვრიტეს ადგილზევე.

ამ ამბების დამტრიალებლები, ამის ჩამდენები უტიფრად გამოდიან და ზუგდიდის სპეცოპერაციას აკრიტიკებენ...

მაგათ ენაზე სპეცოპერაცია ერქვა **გია კრიალაშვილის** სასტიკ მკვლელობას და **როინ შავაძის** მათ მიერ წამებით სულის ამოხდენას...

2003 **წელი** —

**დავით საყვარელიძე**, გარდაიცვალა თბილისში, გორგასლის ქუჩაზე ჯავშანტრანსპორტიორთა შეჯახების შედეგად; **ეთერ წულიაშვილი**, გარდაიცვალა თბილისში, გორგასლის ქუჩაზე ჯავშანტრანსპორტიორთა შეჯახების შედეგად (ამავე ავარიაში მისი 3 მცირეწლოვანი შვილიც დაზიანდა); **გიორგი ინასარიძე**, შსს-ს წინასწარი დაკავების იზოლატორში ჩამომხრჩვალი იპოვეს.

2004 **წელი** —

**ოთარ გველუკაშვილი**, მოკლეს გურჯაანის რაიონში, სოფ. კარდენახში სპეცოპერაციის განხორციელებისას; **ანტონ კუკულავა**, მოკლეს თბილისში დაკავებისას; **დიკო ბარქაია**, მოკლეს ზუგდიდის რაიონში სპეცოპერაციის განხორციელებისას; **ზაზა ფანცულაძე**, მოკლეს ზუგდიდის რაიონში სპეცოპერაციის განხორციელებისას; **ევგენი აფრასიძე**, მოკლეს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში სპეცოპერაციის განხორციელებისას; **ომეხ აფრასიძე**, მოკლეს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში სპეცოპერაციის განხორციელებისას; **ხვიჩა კვირიკაშვილი**, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, დაკავების შემდეგ პოლიციელების მიერ სახლში მიყვანიდან ნახევარ საათში გარდაიცვალა; **ალექსანდრე გომაშვილი**, მოკლეს კახეთში დაკავებისას; **ამირან (ბუტა) რობაქიძე**, ხელებაწეულ მდგომარეობაში მოკლეს წერეთლის გამზირზე; **მურთაზ ქარდავა**, ოფიციალური ვერსიით, მოკლა უშიშროების სამინისტროს თანამშრომელმა ენრიკო სიმონიანმა მის ოჯახზე თავდასხმისას; **თემურ ხუბუნაია**, ოფიციალური ვერსიით, მოკლა უშიშროების სამინისტროს თანამშრომელმა ენრიკო სიმონიანმა მის ოჯახზე თავდასხმისას; **სულხან ლომიძე**, მოკლეს ხელვაჩაურის რაიონში სპეცოპერაციის დროს.

2005 **წელი** —

**ზურაბ ვაზაგაშვილი**, პოლიციამ ჩაცხრილა კორტებთან მანქანაში. **აკაკი კორკოტაშვილი**, მოკლეს გურჯაანის რაიონში სპეცოპერაციისას; **ავთო გუმაშვილი**, მოკლეს ახმეტის რაიონის სოფელ დუისში სპეცოპერაციისას; **ვახო გუმაშვილი**, მოკლეს ახმეტის რაიონის სოფელ დუისში სპეცოპერაციისას; **ვახტანგ მარგოშვილი**, ოფიციალური ვერსიით, მოკლეს ქვემო ქართლში, სოფ. ვახტანგისთან საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისას; **რევაზ ცალანი**, მესტიის რაიონში სპეცრაზმელების მიერ სასტიკად ცემის შემდეგ ლოგინს მიეჯაჭვა; **ვარლამ ნემსიწვერიძე**, მოკლეს თბილისში მძევლის გათავისუფლებისას; **ნესტორ ესებუა**, მოკლეს აბაშის რაიონის სოფელ მარანში დაკავების სპეცოპერაციის დროს; **გია ოკუჯავა**, მოკლეს აბაშის რაიონის სოფელ მარანში დაკავების სეპეცოპერაციის დროს; **თემურ ცეკვავა**, მოკლეს აბაშის რაიონის სოფელ მარანში დაკავების სპეცოპერაციის დროს; **თამაზ კურკუმელი**, მოკლეს თბილისში, მუხიანის დასახლებაში სპეცოპერაციისას; **ალექსანდრე თაბაგარი**, მოკლეს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩოჩხათში; **ხვიჩა მელაძე**, მოკლეს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩოჩხათში; **გიორგი კვირიკაშვილი**, მოკლეს თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე; **გიორგი მანჯავიძე**, მოკლეს თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე; **ლევან გულუა**, მოკლეს თბილისში, გამსახურდიას გამზირზე დაკავებისას; **რეზო სარჯველაძე**, მოკლეს თბილისში დაკავებისას; **ვლადიმერ ხოშტარია**, მოკლეს თბილისში დაკავებისას; **გია (გიორგი) თელია**, მოკლეს თბილისში სპეცოპერაციისას; **ჯემალ ჩაფიძე**, მოკლეს თერჯოლის რაიონის სოფელ ქვედა სიმონეთში, პოლიციის მიერ დაკავებისას; **ზვიად ბაბუხადია**, მოკლეს ბაღდათის რაიონის სოფ. ვარციხეში სპეცოპერაციისას; **ბუთხუზ კიზირია**, მოკლეს ბაღდათის რაიონის სოფ. ვარციხეში სპეცოპერაციისას; **ვალერი ბენდელიანი**, მოკლეს ბაღდათის რაიონის სოფ. ვარციხეში სპეცოპერაციისას; **ზურაბ ვაზაგაშვილი**, მოკლეს ჩოგბურთის კორტებთან, სპეცოპერაციისას, რომელშიც 100-ზე მეტი პოლიციელი და შსს-ს სხვა თანამშრომლები მონაწილეობდნენ; **ალექსანდრე (საშა) ხუბულოვი**, მოკლეს თბილისში, მარჯვენა სანაპიროზე, ჩოგბურთის კორტებთან, სპეცოპერაციისას, რომელშიც 100-ზემეტი პოლიციელი და შსს-ს სხვა თანამშრომელი მონაწილეობდა; **მიხეილ (მიშიკო) ბერძენიშვილი**, მოკლეს საგარეჯოში დაკავებისას; **გელა ცინდელიანი**, მოკლეს მესტიის რაიონის სოფ. ჭუბერში სპეცოპერაციისას; **ჯაბა ჯაბანიშვილი**, დაჭრეს ბორჯომში 21 ივლისს ჩატარებული სპეცოპერაციისას, რის შედეგადაც გარდაიცვალა;

**ხვიჩა კოკაია**, მოკლეს ხობის რაიონში სპეცოპერაციისას; **ვალერი (ვარლამ) ფხაკაძე** — გარდაიცვალა ქუთაისში დაკავებისას მიყენებული ჭრილობის შედეგად.

2007 **წელი** —

**მიხეილ კირაკოსიანი**, მოტოციკლის გაჩერების მოთხოვნის შეუსრულებლობის შემდეგ მოკლა საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა ახალციხის რაიონში; **გიგა ჭარბაძე**, თელავში დაეჯახა ავტომანქანა, რომელსაც პატრულინსპექტორი მართავდა; **ალექსანდრე ხოსიტაშვილი**, გარდაიცვალა სოფელ დიღომში, პოლიციელთა მიერ ცემის შემდგომ; **ოლეგ მესხიძე**, მოკლეს ოზურგეთში სპეცოპერაციისას; **ჯუმბერ ნაგერვაძე**, ოფიციალური ვერსიით, თავი ჩამოიხრჩო ბათუმის იზოლატორში.

2008 **წელი** —

**თენგიზ გოგია**, მოკლეს სენაკის რაიონის სოფ. მენჯში, სპეცოპერაციისას, **როლანდ მახარაძე**, მოკლეს ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მძევლების გათავისუფლებისას; **გიორგი გამცემლიძე**, მოკლეს თბილისში, მეტრო “რუსთაველთან” დაკავებისას; **როინ შავაძე**, მოკლეს გაქცევის მცდელობისას ქობულეთში, ქაქუთის საავტომობილო გზაზე, იყო სასტიკად ნაწამები; **ნატა ჯიჭონაია**, ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხში ცოცხალ ჯაჭვში მდგომს დაეჯახა ავტომანქანა, რომელსაც ნასვამი პოლიციელი მართავდა; **ალექსანდრე კვეზერელი**, ოფიციალური ვერსიით, გურჯაანის რაიონის სოფ. ზიარში შელაპარაკების ნიადაგზე მოკლა შს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსმა; **ზურაბ მათნაძე**, მოკლეს რუსთავის გზატკეცილზე, დაკავების შემდეგ;

2009 **წელი** —

**გია კრიალაშვილი**, მოკლეს გლდანში სპეცოპერაციისას; **ჯიმი მეგრელიძე**, მოკლეს ზუგდიდში დაკავებისას; **მამუკა ჩარჩხალია**, გარდაიცვალა თბილისში, თავის არეში მიყენებული ჭრილობით.

ეს მხოლოდ არასრული სიაა იმ ადამიანებისა, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ ფაშისტურ-კრიმინალურმა რეჟიმმა შეიწირა.

ამ საშინელებათა ჩამდენები ისევ ხელისუფლებაში აპირებენ მობრუნებას და შენ, ვინც ამ მკვლელებისათვის ხმის მიცემას აპირებ, გახსოვდეს: „ნაცმოძრაობის“ მსხვერპლთა ტანჯული სულების ცოდვა საუკუნო წყევლად გაგყვება შენ და შენს შთამომავლობას.

ვინც მკვლელებს უჭერს მხარს, ისიც მკვლელია!

და შენ, ვინც მკვლელების თანამოაზრე გამხდარხარ, ცოცხლების თუ არ გეშინია, მიცვალებულებისა გეშინოდეს — ისინი აუცილებლად წამოგეწევიან და პასუხს მოგთხოვენ!..



# მკვლელები

## „ნაცმოძრაობის“ „სპეცოპერაციები“ 2004-12 წლებში









**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# კაცი ბნელეთიდან...

არსებობს ძველი ებრაული ანდაზა: „იმით, რაც პავლემ მითხრა პეტრეზე, პავლეზე უფრო მეტი გავიგე, ვიდრე პეტრეზე“.

ეს ანდაზა გამახსენდა, როცა ვინმე ელდარ გოგოლაძე ვნახე ე.წ. „მთავარი არხის“ ეთერში, ნიკოლოზ გვარამიასთან. ჰოდა, იმით, რაც გოგოლაძემ ილაპარაკა ბიძინა ივანიშვილზე, უფრო მეტი გავიგე გოგოლაძეზე, ვიდრე ივანიშვილზე.

ვინ არის ეს ადამიანი, რომელიც თავის დროზე „ქართუ ბანკის“ ვიცე-პრეზიდენტი ყოფილა და როგორც თვითონ ამბობს, დიდი გავლენაც ჰქონდა მილიარდერის კარზე? მას უწოდებენ იგორ გიორგაძის მარჯვენა ხელს, კაგებეს პოლკოვნიკსა და რუსეთის უკანასკნელ იაფფასიან იარაღს – **сделано в СССР** (ეს შეფასება ანალიტიკოს ლევან ნიკოლეიშვილს ეკუთვნის).

სამხედრო ექსპერტ ამირან სალუქვაძის თქმით, ელდარ გოგოლაძე კგბ-ს პოლკოვნიკი კი არა, მილიციის თანამშრომელი იყო და კატის კნავილს უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე მის ლაპარაკს. ასეა თუ ისე, ის ერთი პერიოდი მუშაობდა ედუარდ შევარდნაძის დაცვის უფროსად. შემდეგ მუშაობდა „ქართუ ბანკშიც“. 2004 წლამდე კურირებდა ივანიშვილის „მეცხრე არხს“ – როგორც ამბობენ, დირექტორის მოვალეობას ასრულებდა. თუმცა ამ ადამიანის სახელი (რომელიც ბევრს ცოცხალი აღარც კი ეგონა) ყველაზე მეტად 1990-იან წლებში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მაღალჩინოსნის, ფრედი ვუდროფის გახმაურებულ მკვლელობას უკავშირდება – ის გოგოლაძის „ნივაში“ მოკლეს. ამ საქმეში ჩახედული ტიპები ამბობენ, რომ ტყვიამ წინა საქარე მინაში გაიარა, ხოლო ვუდროფს კეფაში მოხვდა. ამოცანა გვეკითხება: რანაირად დაარტყა წრე წინიდან ნასროლმა ტყვიამ? მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ ამერიკელ მაღალჩინოსანს უბრალოდ უკნიდან დააჭედეს, შემდეგ კი საქმე ჩაფარცხეს – მკვლელობა მთვრალ ჯარისკაცს ანზორ შარმაიძეს შეტენეს. თითქოს მას შემთხვევით გაუვარდა თოფი და 15 წელიც მიუსაჯეს.


ეიმს ოლდრიჯი

### რამდენიმე ამონარიდი ქართული პრესიდან

„1993 წლის აგვისტოში ფრედი ვუდროფი შევარდნაძის დაცვის უფროსთან, ელდარ გოგოლაძესთან და ორ გოგონასთან ერთად ყაზბეგიდან თბილისში „ნივით ბრუნდებოდა. ნატახტარში მანქანას გზა სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა რამდენიმე ახალგაზრდამ გადაუღობა და გაჩერება მოსთხოვა, ამ დროს გავარდა საბედისწერო ტყვია“.

„საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ გამოძიების ფუნქცია თავად შეითავსა და მკვლელობას “ბრმა შემთხვევის” კვალიფიკაცია მისცა. მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ პრეზიდენტმა ნამდვილ დამნაშავეებს ხელი დააფარა“.

„ამერიკულმა მხარემ გამოძიება დამოუკიდებლად ჩაატარა, ძიების პროცესში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი გარემოება, რომელმაც ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი. კერძოდ, ვუდროფის გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე, თბილისში **CIA**-ს მაღალი რანგის ოფიცერი ოლდრიჩ ეიმსი ჩამოვიდა, რომელსაც ვუდროფი სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე შეხვდა და მათ შორის საიდუმლო საუბარი შედგა. ვუდროფის გარდაცვალებიდან მალევე გაიშიფრა, რომ ეიმსი რუსეთის აგენტი იყო და აშშ-ს სასამართლომ მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. გაჩნდა ლოგიკური ვერსია: ვუდროფი შემთხვევით გასროლილ ტყვიას კი არა, საქართველოში რუსულ-ამერიკული ინტერესების შეჯახებას ემსხვერპლა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამერიკული სპეცსასამსახურების აგენტი ვუდროფი საქართველოში არსებული რუსული სამხედრო ბაზების შესწავლით იყო დაკავებული“.

„ვუდროფმა ჩამოსვლისთანავე გაშიფრა საქართველოს ხელისუფლების უშიშროების, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში, პროკურატურასა და მინისტრთა საბჭოში მოქმედი რუსეთის აგენტურა, მიხვდა, რომ ყველა საიდუმლო სამხედრო თუ პოლიტიკური გადაწყვეტილება განსაკუთრებით კი აფხაზეთთან დაკავშირებული წინასწარ იყო გაყიდული. გავრცელებული ვერსიით, ვუდროფი აფხაზეთთან დაკავშირებით ბევრ საიდუმლო და სკანდალურ ინფორმაციას ფლობდა“.

### რა უნდა ელდარ გოგოლაძეს?




ამ ადამიანს კლიმაქსი გადატანილი უნდა ჰქონდეს. მაშ, რა აწუხებს, რატომ პირტრაწიანობს ჩაჯვი გვარამიასთან? როგორც ავი ენები ამბობენ, გოგოლაძეს 2005 წლამდე უმუშავია ბიძინა ივანიშვილთან, შემდეგ კი დაუპანჩურებია. გაბრაზდა კაცი, გადავიდა ჭკუიდან, ქერის ორმოდან ამოპანჩურება როგორი საქმეა? ახლა კი ნახა მომენტი და თავისი მოკლე ჭკუით, ზურგში დანა ჩაარტყა ბიძინა ივანიშვილს. თუმცა ერთ რამეში შეცდა – მისმა ჰაბიტუსმა, მეტყველების მანერამ და გაბოზებულმა საქციელმა საზოგადოებაში უკურეაქცია გამოიწვია და თავადვე დაიმსახურა მოსახლეობის რისხვა. საერთოდ, ქართულ საზოგადოებაში პოპულარობით არასდროს სარგებლობს ადამიანი, რომელიც თავის წარსულს აუგად ახსენებს და მით უფრო, როცა ლანძღავს – ეგეთები ჩვენში არ მოსულა!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ელდარ გოგოლაძე ისეთ რაღაცებს ყვება ბიძინა ივანიშვილზე, მან არ უნდა იცოდეს, ვერ უნდა იცოდეს. მაგალითად, ის ამბობს, ბიძინა ივანიშვილი 2003 წლის დეკემბერეში შეეცადა პირველად პოლიტიკაში მოსვლას, მომიყვა თავის შეხვედრებზე სურკოვთან (ვლადისლავ სურკოვი 1999–2011 წლებში პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილე იყო, 2011–2013 წლებში ვიცე-პრემიერის თანამდებობაც ეკავა). როგორ ფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილი დაუჯდა (თუნდაც თავისი დაცვის უფროსს) და მოუყვა, ახლა წავალ, სურკოვს შევხვდები და როცა დავბრუნდები, ყველაფერს ჩაგიკაკლავო? მე არ მჯერა!

რა გეგმა ჰქონდა (ელდარის დავთრების თანახმად) ბიძინა ივანიშვილს ანაკლიის პორტთან დაკავშირებით? თურმე ამისთვის უთქვამს, წავალ მოსკოვში, შევხვდები პატრუშევს (რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანი 2008 წლიდან), მხოლოდ მაგის შემდეგ ვიტყვი, თუ არ მომცეს თანხმობა, ანაკლიის პროექტში ერთ დოლარსაც ვერ ჩავდებო. ელდარ გოგოლაძეს ეს თემა არ ეხება. შესაბამისად, არც ბიძინა ივანიშვილს უნდა გაემხილა მისთვის ესოდენ დიდი საიდუმლო. ბოდავს ეს ადამიანი, დაბოღმილია და ვითომ ანგარიშს ასწორებს. მე არ ვიცი, მაგრამ ავი ენები ამბობენ, ფსიქიურადაც მთლად დალაგებული ვერ არიო.

როგორ არჩევს ივანიშვილი კადრებს ბიზნესში და პოლიტიკაში? გოგოლაძესთან ივანიშვილს ამ თემაზეც ჰქონია ნასაუბრები და გული გადახსნილი:

„ჩემთვის მას უთქვამს, რომ ის ბანკის მმართელის მოადგილეს და კომპანიის ვიცე-პრეზიდენტს აკეთებს „ლიფტიორებისაგან“ და „ახრანიკებისაგან“.

აქ გაბოზებული ელდარი საკუთარ თავს ეწინააღმდეგება – თუკი ივანიშვილი ბანკის მმართველის მოადგილეს და კომპანიის ვიცე-პრეზიდენტს „ლიფტიორებისგან“ აკეთებს, მაშინ მას რა უნდოდა ვიცე-პრეზიდენტად? ის ხომ კგბ-ს ყოფილი პოლკოვნიკია, თანაც ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი.

უთვალთვალებს თუ არა ბიძინა ივანიშვილი თავისი გუნდის წევრებს, თალაკვაძეს, კობახიძეს, გახარიას და სხვებს? გოგოლაძე აქ გველის მეთოდით პასუხობს, გამიკვირდება, ამას რომ არ აკეთებდეს და მგონი ეს უკვე ამათაც იციანო. როგორც ხედავთ, მაინც არ არის დარწმუნებული, უთვალთვალებს თუ არა. თუ არ უთვალთვალებს, გაუკვირდება. აი, ისწავლეთ, როგორ უნდა ჩახლართოთ ინტრიგა... თან ბოლოს უნდა დაამატოთ, რომ ვისაც უთვალთვალებს, მათ ეს უკვე იციან.

ჩემო ძვირფასებო, ეს ბნელეთიდან გამოსული ადამიანი საკუთარ ისტორიას ყვება, როგორც ჩანს, ვუდროფის მკვლელობის შემდეგ კაი გვარიანად შეირყა და მკურნალობა დასჭირდა.


ფრედი ვუდროფი

რა რჩევას აძლევს ელდარ გოგოლაძე ბიძინა ივანიშვილს?ეს უკვე საცოდაობაა, მაგრამ მაინც ვნახოთ, წავიკითხოთ:

ვურჩევ, გამოიძახოს „გაზპრომი“, დაჯდეს თვითმფრინავში და გაფრინდეს ევროპაში. თუ წააგო არჩევნები და წასვლა მოუწია, ის არ გამოიძახებს დიდ თვითმფრინავს მთელი თავისი გუნდისთვის“.

ბიძინა ივანიშვილს არაფერი ეტყობა, რომ არჩევნებს წააგებს. არც ამ ქვეყანას ეტყობა, რომ მოღალეტეებს ხელისუფლებაში დააბრუნებს.

სხვათა შორის, იგივე გოგოლაძე, მოგოლაძე თუ გოგოლმოგოლი წინასწარმეტყველურ რაღაცებსაც აწვება – გვარამია ეკითხება, ნეტავ ივანიშვილს ჩემს მოკვლაზე თუ უფიქრიაო?

პასუხი: „არ არის გამორიცხული და როდესაც ნახავს ამ ინტერვიუს, არ გამოვრიცხავ, რომ უფრო მეტად ჩემ მიმართ გაუჩნდეს ეს ფიქრი“.

მოდით, გულზე ხელი დადავიდოთ და ვთქვათ: ჯერ ერთი, ამ ბებერი ქათმების დახოცვა ბიძინა ივანიშვილს რაში სჭირდება? ამათი ძვალი არ ვარგა, ხორცი არ ვარგა და ტვინი არ ვარგა; მეორეც – ივანიშვილს რომელიმეს მოკვლა რომ უნდოდეს, გაუჭირდებოდა? მე არ ვიცი, ეგეთი ბრიყვები არასდროს მინახავს, ესენი საიდან გამოძვრნენ, საიდან გამოითესლნენ?!

ბოლო დროს ხშირად ვფიქრობ... საიდან ამდენი უმადური, ბოზი და მოღალატე? კაცი რომ სახლს აგიშენებს (რიგის ქუჩაზე, გოგოლაძევ!!!), დაგაპურებს, ცხოვრებას აგიწყობს, თანამდებობას მოგცემს, თუ რამე გტკივა – გიმკურნალებს, ზედ გადაგყვება და შენ მადლობის ნაცვლად ასეთ სიბინძურეებს მოუგონებ, ხომ ხარ კეთილებმოსატ...ნავი?!

მაინც როგორი ადამიანია ბიძინაო? – ეკითხება ჩაჯვი.

ნიჭიერიაო.

ვა, ეს როგორო?

გამჭრიახიაო.

ოჰ, ეს რანაირადო?

ჰო, აშკარად გამჭრიახი და ნიჭიერიაო.

ახლა მე ვარ გაოცებული. ჯერ იძახდა, უნიჭოა, კითხვა არ უყვარსო, მერე კი ამტკიცებს, ნიჭიერიაო.

კიდევ ბევრი იბოდიალა ამან, ამ გოგოლაძემ. სიმართლე გითხრათ, ბოლოს შემეცოდა და ტელევიზორი გამოვრთე. სიმართლე უთქვამთ ახლობლებს, ვერ არის მთლად დალაგებული. ბოდიშს ვიხდი, ამ ტრამპა-ცუმპა ადამიანის გამო რომ შეგაწუხეთ.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ცეზარ ჩოჩელი ოსი სეპარატისტების ბიზნეს-პარტნიორი და მათი საიდუმლო მოკავშირეა



## დოდო თურქოშვილი: ძალიან მინდა მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობამ დაინახოს, რომ ცეზარ ჩოჩელი არის მატყუარა, თაღლითი და გამომძალველი კაცი

გასაგებია, ქვეყანაში არ არის გასაოცარი სიმდიდრე და განვითარება, მაგრამ რახან სახელმწიფოს პრობლემები აქვს, ხალხმა ამის გამო, თვალები არ უნდა დაიბრმავოს და ნაცებს და, მათ შორის, სხვისი ქონების მიმთვისებელ ჩოჩელს არ უნდა მისცეს ხმა.

როგორც წინა ნომერშიც განვაცხადეთ სანდო წყაროზე დაყრდნობით, კოლექტიური ნაცები საარჩევნოდ დიდ არეულობას გეგმავენ, ერთ ან რამდენიმე უბანზე მიჩენილი ეყოლებათ ავტომატიანი პირი, რომელიც „საჭირო“ დროს გაისვრის, რასაც მოყვება აურზაური და ამ დროს ნაცები ეცდებიან თავიანთი მავნებლური ზრახვების განხორციელებას. ავტომატიანი კაცის „ჰონორარი“ 10.000 დოლარი ყოფილა. ამ ინფორმაციამ ზუგდიდის ბანკზე თავდამსხმელი „კეთილშობილი“ მძარცველი გამახსენა.

ახლა რაც შეეხება თავად წინამდებარე სტატიის მთავარ პერსონაჟს ცეზარ ჩოჩელს, სანამ დოდო თურქოშვილის მოკლე ინტერვიუს შემოგთავაზებდეთ, იმ ინფორმაციებზე გვინდა ვისაუბროთ, რომელიც გაცილებით ადრე მოგვაწოდეს სანდო წყაროებმა. რესპოდენტთა განცხადებით, ცეზარ ჩოჩელს ფრიად მჭიდრო „საქმიანი“ ურთიერთობა აკავშირებდა ადგილობრივ ოსი ეროვნების პიროვნებასთან, რომელიც ათეული წლებია მოსკოვში და საერთოდ, რუსეთში საქმიანობს და ცხოვრობს. ეს ადამიანი ძალიან დიდი ქონებისა და ფულის პატრონია, მოსკოვში საქართველოში უამრავი რესტორანი, სახლი და სხვა ქონება აქვს. ამ „მწვანე შუქი“ ჰქონდა ანთებული, როგორც ცხინვალიდან და ორჯონიკიძიდან (ვლადიკავკაზი) გზა, რადგან მისი ძმისშვილი ვლადიკავკაზისა თუ მთლიანად ჩრდილო ოსეთის უშიშროების სამსახურის უფროსია, ცხინვალში კი ნათესავები, თავისი ხალხი ყავთ. ამ „ბიზნესმენს“ საქართველოში შემოჰქონდა ხორბალი და სხვა პროდუქცია, ყველაფერი განუბაჟებელი და მცხეთის რაიონში ცლიდა, ოღონდ ამ ტვირთებში ფულს კი არ აკეთებდა, დიდი ფული ცალკე „ქეშად“ მოჰქონდა რუსეთიდანო.ე.ი. ეს იყო არადეკლალირებული, „შავი“ ფული, რომელიც ამ „ბიზნესმენს“ საბაჟოს გვერდის ავლით შემოჰქონდა და ამ ხორბლისა თუ სხვა პროდუქციის „იმპორტს“ ფულის შესანიშნავად ეწეოდა. იმის დამნაშავეები არიან, ამათ სატვირთო ავტომანქანიდან ხორბალი რომ გადმოცალეს, ტომრით ფული ამოუღიათ და შეუნახავ თ. მოკლედ, ამ კაცმა უზარმაზარი ფული შემოიტანა და უამრავი ქონება იყიდა საქართველოში, ნარეკვავზე, მცხეთაში, მთლიანად მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, დედაქალაქში და ალბათ სხვა რეგიონებშიც, მარტო თბილისში 20–25 ბინა აქვსო. ეტყობა ძალიან რომ „გასუქდა“ ჩოჩელის „ბიზნეს-პარტნიორი“, ამის გამო დაეტაკნენ ერთმანეთს. 2008 წელს ჩოჩელი გუბერნატორი რომ გახდა, საერთოდ უნდოდა ამ „ბიზნესმენისთვის“ გზა გადაეკეტა გზა, რადგან უკეთ გაერკვა ვინ რას აკეთებდა, რამდენი ფული შემოჰქონდა, სად „იდო“ დიდი ფული და დაიწყო „დამუშავება“, მით უმეტეს, რომ ქვეყნის „ხერხემალი“ მერაბიშვილი ყავდა „კრიშად“. „მოსკოველმა“ ცოტა ხანს იმუშავა, ბოლოს ხორბალთან ერთად შემოიტანა ფულიო. ცნობისთვის, ჩოჩელი გუბერნატორობამდეც პოლიტიკაში ბრძანდებოდა „ბიზნესმენობის“ პარალელურად, ჯერ ახალგორის გამგებელი იყო, შემდეგ ამ რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში, ასე რომ, მსგავს ბიზნესმენებთან „საქმიან“ ურთიერთობაში ხელს არაფერი შეუშლიდა. ყოველთვის ახალგორის გავლით შემოდიოდა ჩრდილო ოსეთიდან „ლევი“ მანქანები. ახალგორიდან პირდაპირი გადასასვლელი გზაა ცხინვალში, იქიდან კი როკის გვირაბის გავლით რუსეთში. სხვა გზები რომ გადაიკეტა და ცხინვალიდან მანქანას ვერ გამოიყვანდი, ახალგორიდან ყოველთვის მოძრაობდნენ ორივე მიმართულებითო. წყაროს ინფორმაციით, ხსენებულ „მოსკოველზე“ ქართულ მხარეს სერიოზული კომპრომატები ჰქონდა, თუნდაც ის, რომ ცხინვალელ სეპარატისტებს რომ ეხმარებოდა. მთელმა მცხეთამ და მისმა შემოგარენმა იცოდა, ეს კაცი ცხინვალელი ოსებისთვის იარაღს რომ ყიდულობდა, ცხადია, ეს ჩოჩელმაც იცოდა, მაგრამ საეჭვოა მაგ მიზეზით დაპირისპირებოდა, როგორთუ ოს სეპარატისტებს ეხმარებიო, მიზეზით სულ სხვა იყო. გეთანხმებით, რომ ეს კაცი დამნაშავე იყო ოსებს რომ აიარაღებდა, მაგრამ რატომ არ დაიჭირა ჩოჩელმა? რატომ დაიჭერდა, როცა ფულს იღებდა მისგან. ცეზარა-მილიონერს სად ჰქონდა მაშინ იმდენი ფული, როცა ეს „გამასკვიჩებული“ მილიონებს ატრიალებდაო. არსებობს ხალხი, რომელმაც მოისმინა როგორ უყვიროდა ჩოჩელი გუბერნატორის რანგში „ბიზნესმენს“, მორჩა თუ არ გადაიხდი, შენი ვერაფერი შემოვა და გავაო, საერთოდ უნდოდა მისი საქართველოდან გაგდება. ჩოჩელი უყვიროდა, ისეთ დღეში ჩაგაგდებ, რომ ერთი ოსი აღარ დარჩება საქართველოშიო. არადა წინა დღეებში თურმე ერთად იქეიფეს ამ ბიზნესმენის სახლში და აქედან იცნეს ამ ხალხმა მერე ჩოჩელი. ეტყობა ბევრს ითხოვდა „გასამრჯელოდ“ გუბერნატორი, ამასაც უთქვამს შენი დედაც, შენი არაფერი მინდაო, ასე დაშორდნენ. ეს „მასკვიჩი“ კი ისეთი ტიპია, მოსკოვში, რუსეთში ვერ აწერენ ფულს, მათ შორის, ქურდები და ჩოჩელს შეაწერინებდა?! ქურდები რომ მივიდნენ მასთან ფულისთვის, „კაგებეს“ გენერლები დაახვედრა. ამის შემდეგ ჩაერია ვლადიკავკაზის „კაგებე“ და დაამუხრუჭეს ჩოჩელი მადას შეუკვეცავდნენ, ყველამ იცის ამ „პატრიოტს“ საქონლის ჯოგები რომ ყავს ახალგორიში 3000–5000 სული, ასევე უზარმაზარი ცხვრის ფარა, მგონი მაგდენი ცხვარი არავის ყავს საქართველოში. გააფრთხილეს ამ კაცს თუ თავს არ დაანებებ, მაგ ქონებას „მიგიხედავთო“. ყველაფერს წაართმევდნენ, ჩოჩელი ახალგორში მდგომ რუს სამხედროებს უხდის ფულს, რომ მის საქონელს არავინ შეეხოს.



თურმე ნუ იტყვით და „ჩოჩელსა და კომპანიას“, რა თქმა უნდა ბობოლა ნაცების ხელდასმით, მცხეთის რეკონსტრუქციის გამოყოფილი ფინანსებით მოუხდენიათ საკუთარი სასტუმროს (არ არის გამორიცხული სასტუმროებიც) მშენებლობა. ამას გარდა, თურმე ეს კონკრეტული სასტუმრო მტკვრის პირას, ნამონასტრალებსა და ძველი სასაფლოების ტერიტორიაზე ყოფილა აშენებული. იქ მომუშავე ახალგაზრდებს მობილური ტელეფონით გადაუღიათ, როგორ ყრიდნენ საფლავების ნამუსრევებს და სხვა უძველეს საგნებს პირდაპირ მტკვარში, კარლიკა ადეიშვილის სასტუმროს მშენებლობის დროს. სხვათა შორის, „მარბიელთაგნ“ ერთ-ერთი, იმჟამად რეგიონში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა. მაგ ტერიტორიაზე ერთი ქართული ეკლესიის ნანგრევები იყო, მეორე სომხური, ასევე ორი სასაფლაო იყო ქართველების და სომხების. ესენი რომ თხრიდნენ, რაც ამოდიოდა ძვლები, ქვევრები, თუ სხვა ნივთები, მტკვარში ყრიდნენ, თან იძახდნენ, დროზე, არქეოლოგებმა არ მოგვისწრონ, თორემ დაგვიხურავენ ამ ობიექტსო. ეს ყველაფერი გადაღებულია, „პერსონაჟები“ კარგად ჩანან და მათი ხმაც ისმის, შენახული აქვთ. თუ დაინტერესდებით, თქვენც მოგაწვდითო. ნაცფეოდალებმა ახალგაზრდობა ამუშავეს ამ სასტუმროს მშენებლობაზე, მაგრამ ფული არ გადაუხადეს. ამ „კამანდის“ წარმომადგენელ ერთ მანდილოსანს დაუნახავს, ნამონასტრალების და ძველი საფლავების დარბევის პროცესს რომ იღებდნენ, გათიშე ბიჭო ეხლავე ტელეფონი და ჩიპი მომეციო უთქვამს. ამას ჩიპი კი მიუცია, მაგრამ სულ სხვა. უზარმაზარი მშენებლობა მიდიოდა, არაერთხელ გვინახავს მანდ მისული ჩოჩელი. ყველა ადგილობრივ მაშინდელ ჩინოვნიკს მიუძღვის ბრალი, მაგრამ მთავარი მაინც ჩოჩელია, რადგან ხსენებული სასტუმრო მცხეთის რეკონსტრუქციისთვის გამოყოფილი სამშენებლო მასალებითა და ფინანსებით აშენდა. ეს „კამანდა“ მერე დაიჭირეს, მაგრამ სასტუმრო დააყადაღეს თუ არა, უცნობია. ამათ ხან ვითომ საპატრიარქოსთვის უნდოდათ ჩუქება, მაგრამ საპატრიარქომ უარი თქვა, მერე თითქოს ვიღაც მეღვინეებს უნდოდათ, მაგრამ მგონი, იმათაც უარი თქვეს და დღეს, გაურკვეველია ამ სასტუმროს ბედი. უბედურება ისაა, რომ სასტუმროს შემოგარენში მცხოვრები ხალხი მძიმე მდგომარეობაშია, ამხელა შენობა აფარეს მათ სახლებს, მზე საერთოდ არ უდგება. უბნამდე მისასვლელი გზაც თითქმის ამოქოლილია, მხოლოდ ვიწრო ჩიხია. თავად შენობის კედლებიც 4–5 ადგილზე დასკდა, დიდი ნაპრალები აქვს, იქ არავინ შევა საცხოვრებლად, ექსპლუატაციაში ვერ მიეცემ და არც არავის უცხოვრია. აქ მარტო არქიტექტორისა თუ მშენებლის უცოდინარობაზე არ არის საუბარი, უდიდესი ცოდვაა ნამონასტრალსა და სასაფლაოზე რაიმეს აშენება, არადა უნდა გენახათ სახელმწიფოსგან მოტეხილი საშენი მასალებითა და ფულით როგორი გაშმაგებული მუშაობა მიდიოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ შპს „კასარას“ ერთ-ერთ ხელმძღვანელი დოდო თურქოშვილი „ძალა ერთობაშიას“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ცეზარ ჩოჩელს და მისი გარემოცვის წევრებს $CO_2$ (ნახშირორჟანგი) მომპოვებელ-გადამამუშავებელი ქარხნის მითვისებისა და თაღლითური გზით გაკოტრების მცდელობაში ადანაშაულებს. იყო თუ არა დაინტერესებული მცხეთა-მთიანეთის „რჩეულობაზე“ პრეტენზიის მქონე, „ნიჭიერ-წარმატებული“ ბიზნესმენი ცეზარ ჩოჩელი ნახშირორჟანგითა და სხვა „რამე-რუმეებით“, დოდო თურქოშვილისგან შევიტყობთ.

**დოდო თურქოშვილი:** შპს „კასარა“ წიაღის მომპოვებელი კომპანია, 2005 წლიდან გვაქვს 25-წლიანი ლიცენზია, 2008 წლის ომის წინა დღეებში, წიაღისეულის ეროვნულმა სააგენტომ დაუსაბუთებლად, უკანონოდ ჩამოგვართვა ლიცენზია, რომელმაც შეასრულა მაშინდელი პრემიერ-მინისტრ გილაურის დავალება, რა თქმა უნდა ცეზარ ჩოჩელისა და კახა ბენდუქიძის მონაწილეობით, იმიტომ, რომ პროდუქცია, რომელიც „კასარას“ უნდა ეწარმოებინა, მთლიანად იყო ჩოჩელის წარმოების შემადგენელი ნაწილი. ჩოჩელს ეს პროდუქცია იმიტომ ჭირდებოდა, რომ მაშინაც და დღესაც თავის პროდუქციას, ლუდს, წყლებს, ლიმონათს ხელოვნურ გაზზე ამზადებს, ნატურალური ნახშირორჟანგი კი ჭირდებოდა, მაგრამ „კასარასთან“ კეთილსინდისიერი ურთიერთობის გზა არ აირჩია, ლიცენზია წაგვართვეს, მერე დავიბრუნეთ, მაგრამ ჩოჩელმა ეს ვერ მოინელა. შემდეგ მოაგზავნა თავისი ცოლისძმები, მეგობრები, ვითომდა კეთილსინდისიერი ინვესტორები, მათ ინვესტიციის განხორციელების სანაცვლოდ, შემოვიდოდნენ წილში, მაგრამ არავითარი ინვესტიცია. მათ უნდა ეყიდათ ჩვენი ჭაბურღილიდან მოპოვებული ნახშირორჟანგის გადამამუშავებელი დანადგარი, მაგრამ ცეზარ ჩოჩელის უშუალო მონაწილეობით მათ იყიდეს ლუდსახარში, რომელიც ვითომ „კასარამ“ იყიდა. თიბისი ბანკიდან აიღეს სესხი, რაშიც ჩოჩელის დის მაზლი, ამ ბანკის თანამდებობის პირი გიგა შიხაშვილი. შეგვაყოფინეს თავი ამ უკანონო სესხში, რომლითაც ლუდსახარშადაც კი გამოუსადეგარი, ამორტიზებული დანადგარი იყიდეს. ეს უკანასკნელი „ზედაზენის“ ქარხანაში უნდა წასულიყო, მაგრამ ყაზბეგში მდებარე ჩვენს ქარხანაში შემოიტანეს და მოტყუებით დაამონტაჟეს. ფული დახარჯეს განბაჟებასა და ტრანსპორტირებაშიც, გაყალბებულია ყველა დოკუმენტი. ამ დანადგარმა

ვერ ჩამოასხა ლუდი ბუნებრივი ჭაბურღილიდან მიღებული მასალით. წლებია ვეხვეწები, რომ წაიღონ ეს დანადგარი „ზედაზენში“, ხომ ეკუთვნოდა ამ ქარხანას-თქო, მაგრამ არა. ჩოჩელის ინტერესი 2007 წლიდან დღემდე არის ის, რომ პროდუქტი, რომელიც ამოდის ჩვენი ჭაბურღილიდან, რომელიც ჩვენ გვეკუთვნოდა და სამწუხაროდ, იმ დავალიანების გამო, რომელიც მათ გააჩინეს, ჩვენ დავკარგეთ ლიცენზია. დღეს კომპანია „კასარა“ არის გაკოტრებული. სასამართლო დავების პერიოდში გაგვინადგურდა ერთი მილიონი ლარის ინვესტიცია. სასამართლო პროცესი კი მოვიგეთ, მაგრამ მოგვადგა უზარმაზარი ზიანი. ჩოჩელის წყალობით, ჩვენი ქონება გამზადებულია აუქციონზე გასაყიდად, მცხეთამ მიიღო ჩვენი ქონების რეალიზაციის გადაწყვეტილება. ჩოჩელის მიზანია „კასარას“ ქონება აუქციონზე გაიყიდოს და თავად იყიდოს მის მიერვე გაკოტრებული კომპანია.

ერთია მისი ბიზნესინტერესი, რომ ხელში ჩაიგდოს „კასარას“ ჭაბურღილიდან ამომავალი ნახშირორჟანგის 40-ტონიანი მარაგი, უნიკალური ჭაბურღილის უზარმაზარი რესურსი, მაგრამ აქ უმთავრესი ისაა, რომ ის „პარტნიორები“, ე.წ. ინვესტორები, რომლებიც ჩოჩელმა მოგვიყვანა, მისი ცოლისძმიდან დაწყებული, ყველა რუსეთის მოქალაქეები არიან. მათ უკან ედგა ოსი სეპარატისტები, რომლებსაც ძალიან დიდი ხნის წინ, ფული შემოდიოდა საზღვარზე და ტვირთებიც გაყალბებული დოკუმენტებით იყო.

ვიგებდით სასამართლო დავებს პირველ და მეორე ინსტანციებში ჩოჩელის მხარე ასაჩივრებდა ზემდგომ ინსტანციაში, ასე მივედით უზენაეს სასამართლომდე. ეს მისი უფლება იყო, მაგრამ სასამართლო განხილვების მიმდინარეობისას შეჰქონდათ კერძო საჩივრები, შეგებებული სარჩელები, მოყავდათ ცრუ მოწმეები, ზეწოლას სხდენდნენ მოსამართლეებზე, რაც აშკარად იკვეთებოდა. უყურებ პროცესი სამართლებრივად სწორად მიმდინარეობს და უცებ ხედავ, რომ ჩოჩელმა და მისმა ხალხმა რეალურად ყველაფერი გააკეთეს, რომ „კასარას“ დაეკარგა ლიცენზია, გაკოტრებულიყო, რომ ყველაფერი ხელში ჩაეგდოთ, რომ თვითონ დაემყარებინათ ფინანსური და ეკონომიკური კონტროლი ოს სეპარატისტებს მარტო ამ ობიექტზე კი არა, მთლიანად თრუსოს ხეობაზე სურთ კონტროლის დამყარება. არ მინდა ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ წლების წინ ასე იწყებოდა, ახლა სადავო ტერიტორიები რომ გვაქვს თუნდაც გარეჯში. წლებია, ასე „ჩალიჩობენ“ თრუსოს ხეობის ხელში ჩაგდებას, რაც ჩოჩელს ნელნელა სისრულეში მოყავს თუნდაც ამ ვითომდა ინვესტორი ოსების შემოყვანით. რეალურად მათ პირველივე დღიდან თრუსოს ხეობის ხელში ჩაგდების გეგმა ჰქონდათ, რადგან ეს



70-იანი წლებიდან აქვთ დაწყებული ეს და ბოლო 5–6 წელია მთელი ჩრდილო ოსეთის დეპუტაცია რუსეთის დუმაში, ასევე ოსური ინტელიგენცია უკვე მოითხოვს, არამარტო თრუსოს ხეობის ხელში ჩაგდებას, როგორც ე.წ. ოსური ტერიტორიის, არამედ გუდაურის ხელში ჩაგდებასაც. არის სტატიები და თუ დაინტერესდებით მოგაწვდით, სადაც ოსი სეპარატისტები ითხოვენ თრუსოს ხეობის და მცხეთამდე ტერიტორიის ხელში ჩაგდებას. აი, ამ ყველაფრის უკან დგას ჩოჩელი. სამარცხვინოა, ჩოჩელი კანონიერ ხელისუფლებას რომ აგინებს, თურმე ის უნდა აირჩიონ მცხეთა-მთიანეთის მაჟორიტარ დეპუტატად და არა შალვა კერესელიძე. მე ერთი რამ ვიცი, კერესელიძე არ არის სამშობლოს გამყიდველი, მას ერთი გოჯი მიწა არ აქვს მითვისებული. ჩვენთან ბევრი ტრიალებდა ჩოჩელის გარემოცვის წევრი იმისთანა, რომელზეც თქვენი წინა რესპოდენტი საუბრობს, შეიძლება ერთი მათგანი ეგ კონკრეტული პერსონაც იყო. ჩოჩელი რომ ამბობს ორმილიონიანი ინვესტიცია განვახორციელეო, რაც ვერ დაადასტურეს, თუმცა რეალურად ამის ნახევარი დახარჯეს. ახლა ზუსტად ვერ ვიხსენებ ე.წ. ინვესტორების გვარ-სახელებს, მაგრამ სულ არადეკლარირებული, „შავი“ ხეობა სტრატეგიული ტერიტორიაა და თავად ეს უნიკალური ჭაბურღილიც სტრატეგიული ობიექტია. ეს არ იყო მხოლოდ ერთი კონკრეტული ოჯახისთვის, ჩემი უნარშეზღუდული შვილისა და მალანიებისთვის ამის წართმევა, ეს იყო ძალიან შორს წასული გეგმა, რომელიც ჯერჯერობით გამოუვიდა, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ უზარმაზარი თანადგომა გამოგვიცხადა, მათ შორის, პრემიერმა გახარიამ და მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა, დღეს რეგიონის მაჟორიტარობის კანდიდატმა შალვა კერესელიძემ. ჩვენი კომპანია დღეს ფეხზე რომ დგას, ამაში ლომის წილი გიორგი გახარიასა და შალვა კერესელიძეს მიუძღვით. მართალია წარმოებას ვერ ვამუშავებთ, წარმოუდგენელია მილიონნახევრიან ვალს, რომ წამოგკიდებენ ეს არ დაეტყოს შენს საქმიანობას. სახელმწიფო გვერდში გვიდგას, რადგან გააანალიზეს, რომ ჩვენი ბრალეულობა არ იყო. 22 ოქტომბერს, უზენაესმა სასამართლომ მიუკრძოებელი, სამართლიანი გადაწყვეტილება გამოიტანა, სამართალმა პური ჭამა, ჩვენ გავიმარჯვეთ, რაშიც დარწმუნებული ვიყავი.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# გაიმარჯვებს თუ არა „კარგი ბიჭი“ ტრამპი?

საპრეზიდენტო არჩევნებისადმი მსგავსი ინტერესი, როგორიც ახლა არის, ამერიკის შეერთებულ შტატებში 60 წელი არ ყოფილა. 1960 წელს პრეზიდენტის სავარძლისთვის ერთმანეთს დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ჯონ ფიტჯერალდ კენედი და რესპუბლიკელი რიჩარდ ნიქსონი დაუპირისპირდნენ. აქვე გავიხსენოთ მათი ასაკიც — კენედი მაშინ 43 წლის იყო, ხოლო ნიქსონი 47-ის. არჩევნებში მცირე უპირატესობით, 0,2%-ით (114 ათასი ხმით) ჯონ კენედიმ გაიმარჯვა და გახდა აშშ-ის 35-ე პრეზიდენტი, რომელიც 1963 წლის 22 ნოემბერს ვერაგულად მოკლეს.

წლევანდელი წინასაარჩევნო კომპანია კანდიდატებს შორის კომპრომატების ომში გადაიზარდა. სამრაუნდიან ტელედებატებში მოქმედი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი და კანდიდატი ჯო ბაიდენი ერთმანეთს „ცოდვებს“ უხსენებდნენ. პირველი რაუნდის შემდეგ ამერიკულმა პრესამ დებატები „აშშ-ი დემოკრატიის დასაფლავებად“ შეაფასეს. აქვე სათქმელია, კომპრომატები ტრამპს კონკურენტზე საკმაოდ ბევრი ჰქონია. მესამე, დასკვნითმა რაუნდმა უჩვეულოდ, მშვიდად და კორექტულად ჩაიარა, რადგან ტელედებატების წამყვანს უფლება ჰქონდა მიკროფონი გამოერთო თუ მონაწილეები ერთმანეთს სიტყვას შეაწყვეტინებდნენ. ამან დადებითი შედეგი გამოიღო. 1,5 საათის განმავლობაში ტრამპი და ბაიდენი ძირითადად ურთიერთკრიტიკით იყვნენ დაკავებულები.

ექსპერტების შეფასებით, დონალდ ტრამპმა ვერ შეძლო ოპონენტის „განადგურება“, თუმცა, კორექტულად, ჯენტლმენურად იქცეოდაო, აცხადებენ. ჯო ბაიდენი ტრამპს კვლავ „კოვიდ 19“-თან არაეფექტურ ბრძოლაში ადანაშაულებს. მისი განცხადებით, ტრამპმა ჯიქურად შეუტია ვირუსს, რასაც შეცდომად მიიჩნევს. თავის მხრივ ტრამპი თვლის, რომ ვირუსს ქვეყანაში ეფექტურად ებრძვიან. „... ჯოს მსგავსად სარდაფში არ დავიმალებით, რადგან ქვეყანაში ეკონომიკა უნდა მუშაობდეს, ხალხს უნდა ჰქონდეს შემოსავალი“ — უპასუხა ტრამპმა.

სკანდალი, ბაიდენის ოჯახის კორუფციულ სქემებში მონაწილეობაზე ღრმავდება. ტელედებატების წამყვანმა ვერ გაბედა ამ თემაზე ეკითხა ბაიდენისთვის, რაც თავად დონალდ ტრამპმა გააკეთა — ბაიდენს მოუწოდა ეთქვა რა დამსახურებისთვის მიიღო მოსკოვის ყოფილი მერის იური ლუჟკოვის ქვრივისგან 3,5 მილიონი. ასევე ესაუბრა ჩინეთიდან მიღებულ შემოსავლებზე, ბაიდენემა თავი იმართლა და ყოველივე რუსეთს გადააბრალა „... არ უნდათ მე გავხდე პრეზიდენტი“, თქვა, რაზეც ტრამპმა ირონიულად უპასუხა, სხვა სათქმელი არაფერი გაქვთ. ტელედებატების მიწურულს ბაიდენი მოღუშული იყო, ხშირად იხედებოდა საათზე. დებატების დასრულების შემდეგ კანდიდატები ერთმანეთს არათუ არ დაემშვიდობნენ, ერთმანეთსიკენ არც გაუხედიათ.

წინასაარჩევნო დებატებში გამარჯვება ბევრს არაფერს ნიშნავს, მით უფრო აშშ-ი. თუმცა, ყოფილმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ სცადა თავის ვიცე-პრეზიდენტის მხარდაჭერა, რაც ექსპერტების შეფასებით ვერ მოახერხა. სამაგიეროდ ტრამპმა მიიღო მოულოდნელი დახმარება. ვინმე ტონი ბაბულინსკიმ, რომელიც უმცროსი ბაიდენის, ხანტერის ყოფილი ბიზნეს-პარტნიორი აღმოჩნდა, ფართოდ ისაუბრა სქემებზე, რომლის მეშვეობითაც იღებდნენ შემოსავალს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ოჯახის წევრები. „...ჯო ბაიდენი იტყუება, როდესაც აცხადებს შვილის საქმიანობაზე არაფერი ვიცოდიო, იგი ყველაფრის საქმის კურსში იყო“ — უთხრა ჟურნალისტებს ბაბულინსკიმ.

საინფორმაციო ბომბი ააფეთქა დონალდ ტრამპის პირადმა ადვოკატმა რუდი ჯულიანიმ, რომელმაც გაასაჯაროვა ხანტერ ბაიდენის პირადი ნოუთ ბუკიდან მოპოვებული მასალები. არანაირი კანონი ადვოკატს არ დაურღვევია როგორც ამბობენ, ნოუთ ბუკი ერთ-ერთ ხელოსანს შესაკეთებლად მიუტანეს. კანონით დადგენილი, სამ თვეზე მეტი დროის გასვლის შემდეგ ხელოსანმა გახსნა კომპიუტერი... ამის შემდეგ აღმოჩნდა ნოუთ ბუკი ჯულიანის და გამოძიების ფედერალური ბიუროს ხელში. ხელოსნის მტკიცებით, რემონტისთვის გასამრჯელო მისთვის არავის გადაუხდია. მოკლედ, ბევრი საიდუმლო გასაჯაროვდა. ჯო ბაიდენი ნოუთ ბუკის გამოჩენას კვლავ რუსეთის ფაქტორს აბრალებს. ჟურნალისტების კითხვას შვილის საქმიანობაზე დემონსტრატიულად აარიდა თავი. ამის გარდა სოციალურმა ქსელებმა ტვიტერმა და ფეისბუქმა დაბლოკეს ნოუთ ბუქში ნაპოვნი მასალები მიზეზით — სათანადო შემოწმება არ განხორციელებულაო. დემოკრატების მხარდამჭერი მედიაც დუმილის რეჟიმშია. გასულ კვირას გავრცელებული ოფიციალური მონაცემებით წინასაარჩევნო პერიოდში ჯო ბაიდენმა უკვე 600 მილიონამდე დოლარი დახარჯა, რაც ორჯერ აღემატება ტრამპის ხარჯებს.

აშშ-ი უკვე დაიწყო საპრეზიდენტო არჩევნებში წინასწარი ხმის მიცემის პროცედურა. ექსპერტების გათვლებით, არჩევნებში მომსვლელთა რაოდენობა წლეულს რეკორდული იქნება. რამდენიმე დღეში 60 მილიონზე მეტმა ამომრჩეველმა უკვე გააკეთეს თავიანი არჩევანი, მათ შორის დონალდ ტრამპმა და ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმა მეუღლესთან ერთად. დონალდ ტრამპმა ფლორიდის შტატში, მეუღლის, მელანიას გარეშე გააკეთა არჩევანი. ჟურნალისტის კითხვას ვის მიეცით ხმაო, ტრამპმა იუმორით უპასუხა: „... კარგ ბიჭს, რომლის გვარიც ტრამპია“.

გამარჯვების იმედი ორივე კანდიდატს აქვს. თუმცა, პოლიტოლოგების ნაწილი უპირატესობას დონალდ ტრამპს ანიჭებს. მოსახლეობის გამოკითხულთა 50% მიიმჩნევს, რომ ბოლო 3 წელში მათი ცხოვრება გაუმჯობესდა, მხოლოდ 34% ამბობს გაუარესდაო. ამასთან, ტრამპმა შეძლო ფერადკანიანი ამომრჩეველთა დიდი ნაწილის გადაბირება, მათ შორის მოძრაობა „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანიას“ წევრების, რომლებიც დარბევა-არეულობებს აწყობდნენ სხვადასხვა ქალაქებში. ყველაფერი კი ერთ კვირაში 4 ნოემბერს გაირკვევა, როდესაც დასრულდება ფაქტობრივად ძირითადი არჩევნები. სწორედ ამ დღის ეშინია მოსახლეობას, რადგან პროგნოზირებენ მწვავე დაპირისპირებას ტრამპის და ბაიდენის ამომრჩეველთა შორის. ჯერ კიდევ ორი კვირის წინ გამოკვლევებით აღმოჩნდა, რომ ცეცხლსასროლი იარაღის გაყიდვა აშშ-ია ბოლო 2 თვეში 40%-ით (!) გაიზარდა. ორშაბათს, ნიუ-იორკში უკვე მოხდა ხელჩართული ჩხუბი ტრამპის მომხრე-მოწინააღმდეგეებს შორის გასაშველებლად, პოლიციას ძალის გამოყენებაც მოუხდა. დაველოდოთ არჩევნების საბოლოო შედეგებს იმედით, რომ ყოველივე მშვიდობიანად დასრულდება.

**გია ბურდული**
551 71 27 07



# არასერიოზული პარტიები, რომლებმაც სერიოზული როლი ითამაშეს პოლიტიკაში

ბევრ ადამიანს პოლიტიკა ძალიან მოსაწყენ საქმედ მიაჩნია — პოლიტიკოსებისა და პარტიების პროგრამები ხომ სიტყვასიტყვით მეორდება, მხოლოდ ხანდახან თუ გამოჩნდება ხოლმე ამ ერთფეროვნებაში ექსცენტრიკულ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც რაღაც საშუალებებით პარლამენტშიც აღწევს, თავისი წვლილიც შეაქვს საკანომდებლო ორგანოს მუშაობაში და ქვეყნის ისტორიაშიც ტოვებს კვალს.

ამჯერად სწორედ ასეთი პარტიების შესახებ გიამბობთ.

**ლუდის მოყვარულთა პარტია** (1990, **პოლონეთი**). პარტიის წევრთა აზრით, მნიშვნელოვანი პოლიტიკური შეკრებები სწორედ კათხა ლუდის თანხლებით უნდა იმართებოდეს.

პოლონელ ლუდის მოყვარულთა პარტია იმისთვის იბრძოდა,



რომ პოლიტიკური საკითხები ბარში კათხა ლუდის დალევისას გადაჭრილიყო. ყველაფერი, როგორც ხუმრობა, ისე დაიწყო და სერიოზულ პოლიტიკურ ორგანიზაციაში გადაიზარდა. თუმცა, პარტიის წევრები კვლავ განაგრძობდნენ ბარში შეკრებას, რითიც ამტკიცებდნენ, რომ საკუთარი ჩვევების მიმდევრები იყვნენ და გამოხატვის, ცხოვრებისა და მუშაობის კომფორტული პირობების უფლება ჰქონდათ. 1991 წელს პარტიის წარმომადგენლებმა პოლონეთის პარლამენტის ქვედა პალატაში 16 ადგილი მოიპოვეს. მათ წარმატებას ხელი შეუწყო სახელწოდებამ, რითიც იმ ადამიანების ყურადღება მიიპყრო, პოლონეთის პოლიტიკურმა სისტემამ იმედები რომ გაუცრუა. 1992 წელს პარტია გაიყო. ერთი ნაწილი სერიოზული პოლიტიკური ორგანიზაცია გახდა და „პოლონეთის ეკონომიკური პროგრამა“ დაირქვა.

**შვედეთის პირატების პარტია** (**შვედეთი**, 2006). ამ ორგანიზაციას ბევრმა ბრძოლამ მოუწია, სერიოზულად რომ აღექვათ. პოლიტიკური პროგრამას გაცნობამდე მათ უსაფუძვლოდ აკრიტიკებდნენ ვიწრო პოლიტიკური ინტერესებისა და კანონის საწინააღმდეგო განწყობის გამო. პარტიამ დიდი პოპულარობა მოიპოვა მას შემდეგ, რაც განსახილველად გამოიტანა ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა საავტორო უფლება და პერსონალური მონაცემების დაცვა. მანამდე არც ერთი პოლიტიკური პარტია არ დაინტერესებულა ინტერნეტის მომხმარებლების პრობლემებით. 2009 წელს პირატებმა ევროპარლამენტში თავიანთი პირველი ადგილი მოიპოვეს, ხოლო ლისაბონის მოლაპარაკების შემდეგ, რომელსაც შვედეთის დეპუტატთა რიცხვის გაზრდა მოჰყვა — მეორეც.

**გადარეულების ოფიციალური პარტია** (**დიდი ბრიტანეთი**, 1983). პარტიის დამფუძნებელი მუსიკოსი დევიდ სატჩია, ორგანიზაციის დევიზი — „ხმა მიეცით სიგიჟეს, ხომ იცით, რომ ეს გონივრულია“. არსებობის წლებში პარტიამ ბევრი უცნაური პროექტი შეიმუშავა, მაგალითად, „გადაექციათ ბრიტანეთი გადასახადებისგან თავის დაღწევის თავშესაფრად — გაეყვანათ გვირაბი ნორმანდიის კუნძულების გავლით“. პარტიის წევრები ცდილობდნენ, ეჩვენებინათ საზოგადოებისთვის გარშემო მომხდარის აბსურდულობა. მათი ზოგიერთი პროექტი, მაგალითად, არჩევნებში ხმის მიცემის უფლება 18 წლიდან და პასპორტების გაცემა შინაური ცხოველებისთვის, განხორციელდა. პარტიის წევრები რამდენიმე ქალაქის თვითმმართველობაში აირჩიეს, ზოგიერთი მათგანი მერიც კი გახდა.

**უსაქმურთა კავშირი** (**დანია**, 1979). ეს კავშირი მსახიობმა, მუსიკოსმა და იუმორისტმა იაკობ ჰაუგაარდმა დააარსა. პარტიის წევრთა მტკიცებით, ყველა მოქალაქეს ყოველდღიურად უნდა ჰქონდეს სიზარმაცის, რვასაათიანი დასვენების, ძილისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება. კავშირის აქტივისტების მთავარი შეკითხვა იყო: „თუ მუშაობა ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა, მთელი სამუშაოს შესრულება ავადმყოფებისთვის ხომ არ მიგვენდო?“ პარტია მხარს უჭერდა კარგ საშობაო საჩუქრებსა და სუპერმარკეტებში მოკლე რიგებს. შესაძლოა, ის იმიტომ იყო პოპულარული, რომ კავშირის წევრად ითვლებოდა ყველა, ვინც საპირისპიროს არ ამტკიცებდა. რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, იაკობ ჰაუგაარდმა 1994 წელს 23 ათასი ხმა მიიღო და პარლამენტის მანდატი მოიპოვა.

**დამოუკიდებელი როიალისტები** (**ესტონეთი**, 1992). ეს როიალისტური პარტია პროტესტს იუმორის საშუალებით გამოხატავდა. მისმა წარმომადგენლებმა 1992 წელს პარლამენტში 8 ადგილი მოიპოვეს, მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო კამპანიაზე მხოლოდ ერთი კრონა დაიხარჯა. პროგრამის მთავარი პუნქტი ესტონეთში აბსოლუტური მონარქიის დამყარება იყო. 1994 წელს როიალისტებმა დიდი ბრიტანეთის პრინც ედვარდს მისწერეს წერილი თხოვნით, მათი მეფე გამხდარიყო. პრინცმა ედვარდმა უპასუხოდ დატოვა მათი თხოვნა. 1995 წლის არჩევნებზე როიალისტების პარტიამ ხმების ერთი პროცენტიც ვერ მოიპოვა და პოლიტიკური არენიდან გაქრა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე სამინისტროს დოკუმენტების შესწავლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ პარტიამ დიდი გავლენა მოახდინა ორი ათეული წლის განმავლობაში მთავრობის მიერ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე.

**DIE PARTEI** (**გერმანია**, 2004). „პარტია“ პოლიტიკური სატირიკოსების კავშირი იყო, რომლის სათავეშიც გერმანული იუმორისტული ჟურნალის „ტიტანიკის“ გამომცემელი მარტინ ზოონებორნი იდგა. პარტიამ სახელი გაითქვა



იმით, რომ ბაძავდა ნაცისტებისა და კომუნისტების პათოსს, ჩამოაყალიბა ახალგაზრდული მოძრაობა და თავისი გენმდივნის ტომას გინტერის პატივსაცემად „ჰაი, გინტერ!“ დაარქვა. ამას ხელი არ შეუძლია ორგანიზაციისთვის, 2014 წელს ევროპარლამენტში თავისი წარმომადგენელი გაეყვანა.




**რეუსის დამოუკიდებელი საკოორდინაციო კავშირი** (**ესპანეთი**, 2003). ეს კატალონიური პარტიაა, რომელიც ქალაქ რეუსში დაფუძნდა. მისი დამაარსებელი არიელ სანტამარია საბჭოს სხდომაზე ელვის პრესლივით ჩაცმული დადიოდა. არჩევის შემდეგ საკოორდინაციო საბჭომ საოცარი პროექტები გააზმიანა, მაგალითად, ქალაქში უზარმაზარი სექსოდრომის აშენება ბარით, დისკოთეკითა და წყვილების განცალკევებისთვის მოწყობილი სპეციალური შენობებით. პარტიის წევრების მტკიცებით, ამის წყალობით მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნებოდა და ბევრი ტურისტი ჩამოვიდოდა, რაც ეკონომიკაზე დადებითად აისახებოდა. წინადადებაზე უარი ითქვა, რადგან პარტიამ ამ დაწესებულების ასაშენებლად საჭირო თანხა ვერ დაასახელა.

**ნაძირალების პოლიტიკური პარტია** (**ნიდერლანდები**, 1921). ამ პარტიის მთავარი ამოცანა არსებული პოლიტიკური სისტემის დაცინვა გახლდათ. პარტიის სახე ნელის დე გელდერი გახდა, მათხოვარი და ალკოჰოლიკი, რომელიც ხაჯიმიმარის სახელით მართავდა წარმოდგენებს. პარტიის პროექტში შედიოდა ვონდელას პარკში ნადირობისა და თევზაობის უფლების გაცემა, ფასის დაკლება ბრენდზე, პურსა და ცხიმზე. პარტიის დამფუძნებლები, უმეტესწილად ანარქისტები და ანტიკაპიტალისტები, კარგად იყენებდნენ პროპაგანდის სხვადასხვა საშუალებებს, მათ შორის პოსტერებსა და სარეკლამო ფურცლებს. ხაჯიმიმარი საქალაქო საბჭოში აირჩიეს. ამსტერდამის მაგისტრატმა პარლამენტს მიმართა თხოვნით, მოემზადებინათ კანონი, რომელიც ხაჯიმიმარს საქალაქო საბჭოს შემადგენლობიდან გაიყვანდა. მათი შიში ამაო გამოდგა, რადგან არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მამაკაცმა სმა დაიწყო და მოვალეობების შესრულება ვერ შეძლო, რაც საქალაქო საბჭოდან მისი გარიცხვის მიზეზი გახდა.

ყველა ჩამოთვლილმა პარტიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ქარიზმა და იუმორის გრძნობა პოლიტიკოსისთვის აუცილებელი თვისებებია, მაგრამ თუ ამის გარდა კანდიდატს სხვა არაფერი გააჩნია, მისი წარმატება დიდხანს ვერ გაგრძელდება. სამწუხაროდ, ცხოველების პასპორტების არქონა და ზოოპარკში თეთრი დათვების არყოლა ყველაზე სერიოზული საკითხები როდია, ჩვენ ჯერ კიდევ გვჭირდება ადამიანები, რომლებიც უფრო სერიოზულად უყურებენ ჩვენს გარშემო არსებულ პრობლემებს.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

**საერთო გაზეთი**
**მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა**

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983

9 772233 398001